23/05/2024

MES 0 24 0000567425

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30. 04. 2024
სხდომის დაწყების დრო: 14:05 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:45 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე (I, II, III საკითხები)
სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე (IV, საკითხი)
სხდომის მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. თამარ ლომინაძე - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. გოჩა თუთბერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. დავით გეგეჭკორი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
5. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. აკაკი ხელაძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის მდივანი;
8. თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
9. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. დიმიტრი ჯაფარიმე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

11. ხათუნა თოდაძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
12. დიანა მჭედლიშვილი –შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
14. ქეთევან ნანობაშვილი – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
15. გიორგი მირიანაშვილი – შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები(სახელი, გვარი, პოზიცია)

1. **ლალი ოდიშვილი,** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი,
2. **ნინო შეყილაძე,** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი,
3. **თათია მამრიკიშვილი,** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები (დაწესებულება, სახელი, გვარი, პოზიცია)

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. ვლადიმერ ღლონტი - პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
2. ნანი მამულაძე - ასოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. მარინე გურგენიძე - ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მე-2 და მე-3 საკითხები):

1. ანასტასია ქიტიაშვილი - "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სამაგისტორ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; პროფესორი.
2. თამარ მახარაძე - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; ასოცირებული პროფესორი.
3. ლილი ხეჩუაშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; ასოცირებული პროფესორი
4. ნინო ქიმერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი; ასოცირებული პროფესორი.
5. შოთა ფოთოლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

1. თალიკო ჟვანია - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მ/შ;
2. თინათინ კაიშაური - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. ალექსანდრე შარმაზანაშვილი - მაგისტრატურის ინგლისურენოვანი პროგრამის "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში: ხელმძღვანელი, ბირთვული ინჟინერიის ცენტრის დირექტორი;
4. ბესიკ კეკელია - ბირთვული ინჟინერიის ცენტრის დირექტორის მოადგილე;
5. ნიკო ცუცქირიძე - ბირთვული ინჟინერიის ცენტრის განყოფილების ხელმძღვანელი;
6. დავით ზარნაძე - ნ. მუსხელიშვილის სახე. გამოთვლითი მათემატიკის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი;
7. კახა დემეტრაშვილი - პროფესორი.

აკრედიტაციის ექსპერტები, საკითხი, რომლის შეფასებაშიც მონაწილეობდა:

1) ლია ქურციკიძე - I საკითხი
2) თამარ გვიანიშვილი - I საკითხი
3) სოსო გაზდელიანი - I საკითხი
4) მიხეილ გიორგიძე - II საკითხი
5) ლია ქურციკიძე - II საკითხი
6) თამარ სეხნიაშვილი - II საკითხი
7) ირმა ქურდაძე - II საკითხი
8) ევა ხუხაშვილი - II საკითხი
9) ნინო ჯოჯუა - III საკითხი
10) ქეთევან ბერიძე - III საკითხი
11) მიხეილ რუხია - IV საკითხი
12) ავთანდილ თავხელიძე - IV საკითხი
13) ილია ბოცვაძე - IV საკითხი
14) ლიანა ზაგაშვილი - IV საკითხი

დამატებით მოწვეული ექსპერტები:

1) მანანა ხაჩიძე - IV საკითხი
2) მარინე ხიზანიშვილი - IV საკითხი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - თამარ ლომინაძემ, მე-4 საკითხის განხილვისას სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა თუთბერიძე. ამავე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის დავალებით, სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება დაევალა საბჭოს წევრს, ციური დურულს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" - აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანგარიშების განხილვის მომდევნო სხდომაზე გადატანის თაობაზე, რადგან, პროგრამის ხელმძღვანელები არ იმყოფებიან საქართველოში, ვერ ესწრებიან საბჭოს სხდომას და უნივერსიტეტის პოზიციის დაცვა ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი მათ მიერ. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობის გათვალისწინებით კენჭი უყარეს ახალ დღის წესრიგს და წარმოდგენილი შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" - აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2. **საფეხური** - ხორციელდება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში
3. **სწავლების ენა** - ქართული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ლია ქურციკიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის, წარმოდგენილი დოკუმენტაციების, დაწესებულების არგუმენტების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის საბოლოო ვერსია არის შემდეგი: რომ პირველი და მეორე სტანდარტი არის ,,მეტწილად შესაბამისობაში''. ხოლო, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი არის შესაბამისობაში. პირველ სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგებს, კერძოდ: სწავლის შედეგები უფრო მეტად და მკაფიოდ უნდა ასახავდეს პროგრამის ათენტურობასა და უნიკალურ მახასიათებლებს, მისი თქმით, სპეციალური მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლები არის პირდაპირ ასახული აღნიშნულ პროგრამაში, რაც ერთი მხრივ კარგია, თუმცა თავის მხრივ, აჩენს რისკს განხორციელებული პროგრამების იდენტურობისა. აღინიშნა, რომ საჭიროა უფრო მეტად გამოიკვეთოს უნივერსიტეტისა და პროგრამის უნიკალობა. აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველი გახდა ჩატარებული ინტერვიუები. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, იგი უკავშირდება სწავლის შედეგების ფორმირებაში ცალკეული კურსების სფეციფიკას. საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს თავის პროგრამაში 11 სასწავლო კურსი და შედეგების

რუკის და ცალკეული კურსის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია კიდევ უფრო დაკორექტირდეს ცოდნის დონის შედეგი თითოეული კურსისათვის, მაგალითად: სასურველია გაიმიჯნოს, რომელი კურსია გაცნობითი, რომელი უზრუნველყოფს გაღრმავებას და რომელი განმტკიცებას, რადგან, პირველსა და მეორე სემესტრში წარმოდგენილი კურსები სამივე სიღრმეზე გადის და ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ უმჯობესია კონკრეტული დანიშნულება მკაფიოდ ჩანდეს. გარდა ამისა, პირველ სტანდართან მიმართებით, ექსპერტთა რეკომენდაცია, ეხება პროგრამის შეფასების მეთოდებს, კერძოდ, შეფასების სქემის მიხედით, უნივერსიტეტს წარმოდგენილი ჰქონდა შეფასების სხვადასხვა მეთოდი, რომლითაც შეფასდა პროგრამის შედეგები. აღსანიშნავია, რომ არსებული შეფასების მეთოდი მოიცავს საკმაოდ ბევრ შეფასების მეთოდს, როგორიც არის: პრეზენტაცია, პორტფოლიო, ესე და ა.შ. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, ამ ნაწილში, რომ კონკრეტულ შედეგთან მიმართებით განისაზღვროს კონკრეტული შეფასების შედეგი, რათა უფრო *მარტივი იყოს გაზომვა მისაღწევი შედეგების პროგრამის და შემდგომ ცხადია რეაგირებაც*. გარდა ამისა, პირველ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა რეკომენდაცია ეხებოდა, თავად ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს. აღნიშნული, მსგავსია პროგრამის შედეგების რეკომედაციისა და ექსპერტთა მოსაზრებით, თუ კი ცალკეული კურსის სილაბუსში შეფასების მეთოდებში მკაფიოდ გამოჩნდება რომელი მეთოდი რომელ შედეგს აფასებს, ეს შეფასების სისტემას დროში ლაკონურსა და მოქნილს გახდის და თავად უნივერსიტეტისათვისაც იქნება მომგებიანი, პროგრამის გაუმჯობესების კუთხით.

რაც შეეხება მეორე სტანდარტს, აღნიშნულთან მიმართებით ექსპერტებს ჰქონდათ სამი რეკომენდაცია, კერძოდ: პირველი რეკმენდაცია შეეხებოდა მოტივაციასთან დაკავშირებით გასაუბრების წესს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აღნიშნული გასაუბრება ტარდება იმ აპლიკანტებთან, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე თანაბარ ქულებს დააგროვებენ, რათა განისაზღვროს პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატები. ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ მოტივაციური გასაუბრება შესაძლებელია გახდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობა ყველა კანდიდატისთვის, რათა უნივერსიტეტი დარწმუნდეს იმაში, რომ რელევანტური სტუდენტები შეარჩია პროგრამისთვის, მით უფრო იმ მოცემულობაში, როდესაც ჯერ კიდევ პროგრამაზე არ არის სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა ძალიან დიდი. გარდა ამისა, მეორე სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტთა რეკომენადაცია შეეხებოდა, სფეციფიური ცალკეული სტანდარტისთვის შეფასების რუბრიკებისა და სქემების შემუშავება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამჟამად, სილაბუსებში წარმოდგენილი იყო ჰოლისტური რუბრიკები. მისი მხრიდან ხაზი გაესვა ჰოლისტურ რუბრიკების ძლიერ მხარეებსაც, მაგალითად, იმას რომ იგი იძლევა უფრო მეტი მოქნილობის შესაძლებლობას. თუმცა, რადგან წარმოდგენილი კურსები იყო საკმაოდ სპეციფიკური და კონტენტიც იყო ძალიან კონკრეტული ექსპერტებმა მიაჩნიეს, რომ ხარისხისთვის უმჯობესი იქნებოდა კონკრეტული შეფასების და სქემების წარმოჩენა, რაც უფრო სანდოს და გამჭირვალეს გახდიდა შეფასების სიტემასაც და შედეგების მიღწევის გაზომვაც უფრო მეტად იქნებოდა შესაძლებელი თავად პროგრამის განმხორციელებლებისთვისაც. მეორე სტანდარტის კიდევ ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა შეფასების სისტემას. აღინიშნა, რომ ამჟამად, იგი ეხებოდა, ცალკუელი კურსებისა და პროგრამის ურთიერთმიმართებას. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ კარგი იქნება გადახედილი ყოფილიყო, თუ რამდენად იყო შესაბამისობაში სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები სწავლის შედეგებთან მიმართებით, რათა ბმა მათ შორის გამხდარიყო კიდევ უფრო მკაფიო. მართალია ზოგიერთ სილაბუსში არის საკმაო სიცხადე, სადაც არის ჩაშენებული პრაქტიკა, მაგალითად, ,,მხედველობის სირთულეების მქონე მოსწავლებთან მუშაობა'' და სხვა, მაგრამ, ისეთ თეორიული საგნებში, როგორიც არის ,,ინკლუზიის მეთოდოლოგიური საფუძვლები'' ან ,,ინკლუზიის ფილოსოფია'', ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უფრო მეტად არის შესაძლებებლი შეფასების მეთოდების და სწავლის შედეგების ერთმანეთთან დაკავშირება. ექსპერტმა გამოთქვა მზაობა გაეცა პასუხები კონკრეტულ/დეტალურ შეკითხვებზე.

ექსპერტების ერთ-ერთი რჩევა შეეხება სამიზნე ნიშნულებს. ამ ეტაპზე უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს უნიფიცირებული. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ცალკეული კურსები თავისი შინაარსიდან და სირთულიდან გამომდინარე, იძლევა იმის შესაძლებლობას რომ სამიზნე ნიშნულები იყოს დიფერენცირებული. რაც კარგად აისახება პროგრამის ხარისხზე. გარდა ამისა, მიიჩნიეს, რომ სასურველია პროგრამაში მიეთითოს სპეციალური მასწავლებელის პროგრამის კუტსდამთავრებული რა ტიპის სერტიფიკატს მიიღებს. გარდა ამისა, ექსპერტთა რჩევა შეეხებოდა ცალკეულ სილაბუსებში ლიტერატურის რაოდენობის განსაზღვრას, აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე სილაბუსებში მითითებულია პროექტის ფარგლებში შემუშავებული სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე, თუმცა, არის საკმაოდ მოცულობითი. სასურველია განიზაღვროს სილაბუსებში კონკრეტული გვერდები ან მიეთითოს თავები, რაც შესაძლებელს გახდის განიზაღვროს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებში მიწოდებული მასალის დაძლევა.

მესამე სტანდარტთან მიმართებით ექსპერტებმა გასცეს ორი სახის რჩევა, კერძოდ, ერთი შეეხებოდა სტუდენტის ექსტრაკურიკურულ აქტივობების დაგეგმვას, თუმცა ასევე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს, რომელი გამოირკვა ინტერვიუს საფუძველზე, აქვს საინტერესო გეგმები ამ მიმართულებით. ასევე, რჩევა შეეხებოდა საერთაშორისო ტიპის მობილობას, გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორის პროექტები დაგეგმვას. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული პროგრამაც არის პროექტის ფარგლებში შემუშავებული და უნივერსიტეტის პერსონალს აქვს კომუნიკაცია სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენელთან და ამ ორი მიმართულების დაკავშირება პროგრამისთვის იქნება შედეგიანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი ვლადიმერ ღლონტი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი იყო გასათვალისიწინებელი და დაწესებულების მიერ იქნებოდა მხედველობაში მიღებული, ხოლო რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ გარკვეულ რეკომენდაციასთან მიმართებით, არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები, რაზედაც დეტალურად ისაუბრებდა დაწესებულების სხვა წარმომადგენლები. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ნანი მამულაძე მიესალმა სხდომაზე დამსწრეებს და საბჭოს მოახსენა, რომ, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას საფუძვლად დაედო ,,ERASMUS+'' პროექტის ინოვაციების კურიკურუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად ინიციატივა. მან აღნიშნა,რომ 2021 წელს პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა და დამტკიცდა სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანამანთლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, ხოლო, შემდგომ პარტნიორი ორი დაწესებულებების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის მიერ შემუშავდა აღნიშნული პროგრამა. პროცესში ასევე ჩართული იყვნენ შესაბამისის სფეროს დამსაქმებლები, დარგის ქართველი და უცხოური ექსპერტები და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. აღინიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ძირითადად შეეხებოდა, სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგების ფორმულირებაში მონაწილე კურსების სპეციფიკას, ცალკეული სასწავლო კურსების შეფასების მეთოდებს, სასწავლო კურსებისათვის დაშვების წინაპირობებისა და არჩევითი კომპონენტების განსაზღვრას, სწავლის შედეგების მიღწევას, გაზომვას და შეფასებას. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა რეკომენდაცია, პროგრამის განათლების დონის კანონმდებლობის შესაბამისად დაზუსტებასა და პროგრამაზე მიღების წინაპირობასთან დაკავშირებით.

,,პროგრამის განათლების დონესთან მიმართებით'' ექსპერტთა რეკომენდაციის საპასუხოდ ნანი მამულაძემ აღნიშნა, რომ სპეციალური მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების

დარგობრივი მახასიათებლის, ასევე ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით, პროგრამა ხორციელდება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეექვსე დონის ფარგლებში. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში განათლების დონის მითითებისას, დაწესებულება დაეყრდნო სწორედ ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებს. ასევე, მან დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულების სამუშაო ჯგუფმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობისას, კიდევ ერთხელ გადახედეს დარგობრივ მახასიათებელს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და მიიჩნიეს, რომ პროგრამაში მითითებული უმაღლესი განათლების პირველი საფეხური ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონე, მითითებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ექსპერტთა რეკომენდაციაზე - ,,გადაიხედოს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანამანათლებლო პროგრამაზე მოტივაციური გასაუბრების ჩატარების წესი და დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა, მოტივაციური გასაუბრებისა, პროგრამაზე მიღების წინაპირობის ჩარიცხის ყველა კანდიდატისთვის გახდეს სავალდებულო'' ნანი მამულაძემ აღნიშნა, რომ ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მიხედვით, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური განათლების ხარისხის მქონე პირს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საბაზო პროფესიული უნარების გამოცდა. თუკი აპლიკანტი წარმატებით ჩააბარებს გამოცდას, იგი ადასტურებს სფეროს ზოგად ცოდნას, შესაბამისად დაწესებულება მიიჩნევს რომ აპლიკანტი აღარ საჭიროებს დამატებით გამოცდას, რადგან მოტივაციური გასაურების უმთავრესი მიზანი სწორედ სფეროს ზოგადი ცდონის შეფასებაა. ასევე აღნიშნა, რომ გამოცდის ჩატარების საჭიროება დგება მხოლოდ თანაბარქულიანი აპლიკანტებისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილების რაოდება არ იქნება საკმარისი და შეიქმნება საკონკურსო პირობები.

პროგრამის ხელმძღვანელმა მარინე გურგენიძემ, ისაუბრა პროგრამის სწავლის შედეგების, სწავლის შედეგის ფორმირებაში მონაწილე სასწავლო კურსების სპეციფიკის შეფასების მეთოდების დაშვების წინაპირობების, არჩევითი კომპონენტების განსაზღვრისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვადობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, გამომდინარე იქედან, რომ პროგრამა პირველად ხორციელდებოდა დაწესებულებაში, ცდილობდნენ შედეგები დაახლოებული ყოფილიყო დარგობრივ მასახიათებლებთან, მართალია პროგრამაში იდენტური ასახვა ჰპოვა დარგობრივი მახასიათებლის გარკვეულმა კომპონენტებმა, კონკრეტულად, გადმოტანილ იქნა მხოლოდ ის შედეგები რომელზედაც გასვლის შესაძლელობას იძლეოდა მითითებული სასწავლო კურსები, თუმცა, აღნიშნა, რომ იდენტურობა შენარჩუნებული აქვს პროგრამას სრულად. რაც შეეხება რეკომენდაციას, ორ საკითხთან მიმართებით, სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები და ინკლუზიური განათლების მეთოდურ საკითხებთან. აღნიშნულ სასწავლო კურსებთან მიმართებით, სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა, გადახედა სასწავლო კურსების შინაარს და სასწავლო მასალას (რიდერს), რომელიც სტუდენტებს წარედგინებათ სასწავლო პროგრამის განორციელების შემთხვევაში და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შესაძლებელია აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში გავიდეს განმტკიცების დონით კონკრეტულ შედეგებამდე. რაც შეეხება შეფასების მეთოდებს და რუბრიკებს, აღნიშნა, რომ მოწოდებულ სილაბუსებში, სასწავლო კურსებთან მიმართებით არსებობს ჩაშენებული პრაქტიკა და აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია განმტკიცების დონემდე მივიდეს სტუდენტი, შესაბამისად ამ ეტაპისთის ვერ ხედავდა დაწესებულება ამ კუთხით ცვლილების განხორციელების საჭიროებას, თუმცა, აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის განხორციელების პერიოდში თუ კი დადგებოდა დღის წესრიგში ამგარი ცვლილების არსებობის საჭიროება, რა თქმა უნდა იგი განხორციელდებოდა.

რაც შეეხება რეკომენდაციას, სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით, მარინე გურგენიძემ აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების წინაპირობების განსაზღვრის დროს საკმაოდ

ღია კითხვები დარჩა სამუშაო ჯგუფის წევრებსაც. მან აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფში არ იყო ჩართული მხოლოდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არამედ ასევე ჩართული იყო სხვადასხვა დაწესებულებები და უცხოელი ექსპერტები. აღნიშნულ პროცესში გაჩნდა კითხვები იმის შესახებ, თუ კი ზოგადი საგნები ჩაინიშნებოდა მეორე სემესტრის სასწავლო კურსების წინაპირობად, მაშინ რატომ არ უნდა ყოფილიყო პირველი სემესტრის სასწავლო კურსებისთვის ზოგადი საგნები წინაპირობად, ან პირველი სემესტრის სასწავლო კურსები დარღვევებთან დაკავშირებული ჩაინიშნებოდა პრაქტიკის წინაპირობად. ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკის პარალელურად, სტუდენტების გადის ისეთ მნიშვნელოვან სასწავლო კურსებს, როგორც არის, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთა მუშობა, მხედველობის ენა-მეტყველების დარღვევის მქონე მოსწავლეთა მუშაობა სკოლაში და შესაბამასად, ამ საგნების ჩართვას სასწავლო პროცესში ვერ ახერხებდნენ, რადგან პრაქტიკის პარალელურად უწევდათ სტუდენებს ამ საგნების გავლა. ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამასად, მიუთითა რომ მათ აარიდეს თავი სასწავლო კურსებისათვის დაშვების წინაპირობების განსაზღვრას. დამატებით არგუმენტად, ასევე მიუთითა, სასწავლო სილაბუსზე და აღნიშნა, რომ სილაბუსით გათვალისწინებული შესასრულებელი დავალებების სირთულიდან გამომდინარე, თუ კი სტუდენტები არ გაივლიან პირველი და მეორე სემესტრის სასწავლო კურსებს, მათ წარმატებით შესრულებას ვერ შეძლებენ, შესაბამისად, ამიტომაც არ მოხდა დაშვების წინაპირობების მითითება.

რაც შეეხება, არჩევით სასწავლო კურსებთან დაკავშირებით ექსპერტთა რეკომენაციაზე მერინე გურგენიძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა არის 60 კრედიტიანი, ანუ ერთწლიანი, სასწავლო პროგრამით გათვლისიწინებულ მიზნებამდე რომ სტუდენტი გავიდეს, აუცილებელია პროგრამაში გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსი გაიაროს. შესაბამისად, ყველა სასწავლო კურსს მიენიჭა სავალდებულო სტატუსი, და რეალურად, პროგრამის ხანგვრძლივობამ არ მისცა შესაძლებლობა დაწესებულებას, არჩევითი სასწავლო კურსები ყოფილიყო შეთავაზებული სტუდენტებისათის. თუმცა, გამოთქვა მზაობა, რომ თუ კი პროგრამის განხორციელების ეტაპზე, გამოიკვეთება კურსისთვის კრედიტების შემცირების ან გაზრდის შესაძლებლობა იგი განხორციელდება. ასევე აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის შერჩეული იყო თითოეული კურსისათვის ოპტიმალური ვარიანტი.

რაც შეეხება, პროგრამაში სწავლის შედეგების სიცხადეს, შეფასების რუბრიკებსა და ა.შ. აღნიშნა, რომ თითოეული სასწავლო კურსი და სილაბუსი შემუშადა არაერთი უნივერსიტეტისა და უცხოელი ექსპერტების, ასევე შშმ პირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობითა და მათი რეკომენდაციებით, სამუშაო ჯგუფის მეშვეობით. ასევე, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შემუშავდა სილაბუსის მიზნები, საფუძვლები, შეფასების მეთოდებით, სასწავლო კურსის ფარგლებში გასავლელი საგნები, ასევე შეიქმა თითოეული სილაბუსისათვის ქართულენოვანი რიდერი, რომელიც დაეფუძნა უცხოენოვან ლიტერატურას, რომელიც ენობრივი და შინაარსობრივი რედაქტირების შედეგად გამოიცა როგორც ბეჭდური ასევე, ელექტრონული ფორმით. ასევე აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფის მუშაობის დასრულების შედეგად გაერთიანებულ შეხვედრაზე მოხდა თითოეული სწავლის შედეგის განხილვა და თითოული სასწავლო კურსის პილოტირება განხორციელდა უნივერსიტეტებში, აღნიშნულ დაწესებულებაშიც დაწყებითი განათლების 300-კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში. პილოტირებას მონიტორინგს უწევდა უცხოელი ექსპერტები. შესაბამისად, რა ფორმატითაც დაინერგა პილოტირების ეტაპზე ეს პროგრამა, იგივე ფორმატით იყო წარმოდგენილი საბჭოს წინაშეც. დამატებით მიუთითებენ, რომ სილაბუსების უმეტესობას აქვს რუბრიკები დანართის სახით მოწოდებული, მაგრამ ნაწილს რუბრიკები აქვს შეფასების ნაწილში პირველ-მეორე გვერდზე. ასევე, გამოითქვა მზადყოფნა, რომ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პირების მიერ პროცესზე დაკვირვების შედეგად შესაძლებელია გარკვეული ცვლილებების შეტანა და რეკომენდაციების გათვალისწინება.

თამარ გვიანიშვილმა პროგრამის დონესთან მიმართებით აღნიშნა, რომ ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანამთლებლო პროგრამა არ არის აკადემიური უმაღლესი განათლების პროგრამა თავად ამ კანონიდან გამომდინარე. აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა, არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, პროგრამის დასრულების შედეგად გაიცემა სერტიფიკატი და პროგრამის შედეგად არ ხდება აკადემიური ხარისხის მინიჭება. შესაბამისად, შინაარსობრივად განსხვავდება აკადემიური უმაღლესი საგანამანთლებლო პროგრამა და სპეციალური მასწავლების მომზადების პროგრამა. მან აღნიშნა, რომ რაც აერთიანებს ამ პროგრამებს არის ის, რომ ახორციელებს უმაღლესი საგნამანთლებლო დაწესებულება, საჭიროებს აკრედიტაციას და მესამე, ის თავისი შედეგით უტოლდება მეექსე საფეხურს. თუმცა, კანონის მიხედვით სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამა არ არის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი. ექსპერტთა რეკომენდაციის, კურიკულუმში არსებულ ჩანაწერთან დაკავშირებით, სადაც პროგრამა არის მოხსენიებული როგორც აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამა, საკითხის მოგვარება შეიძლება სახელწოდების დაკორექტირებით და სიტყვა ,,აკადემიურის'' დასახელებიდან ამოღებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, დაწესებულებისაგან, შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, კერძოდ, იგი დაინტერესდა, შრომის ბაზრის ანგარიშთან დაკავშირებით, კონკრეტულად იქნა თუ არა გამოკვლეული დასაქმების წყაროები, მაგალითად ,,job.ge'' და ა.შ. კონკრეტულად ამ სპეციალობის მასწავლებლებზე, რა მოთხოვნა არის ბაზარზე. შესაბამისად, აღნიშნული კვლების ჩატარება რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული და რატომ არ იყო წარმოდგენილი კვლევის შედეგი. გარდა ამისა საბჭოს წევრს ჰქონდა დამაზუსტებელი კითხვა ასევე დაწესებულებასთან, პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით, რადგან მითითებული იყო რომ არაპირდაპირი ხარჯები შეადგენდა 40%, საბჭოს წევრს აინტერესებდა ეს ციფრი ასე იყო განსაზღვრული ყველა პროგრამისათვის თუ არა და რას ეფუძნებოდა მითითებული ოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნანი მამულაძემ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა ალბათ ბაზრის კვლევა ამ მიმართულებითაც ჩაეტარებინათ და მიექციათ ამ საკითხისთვისაც ყურადღება.

ვლადიმერ ღლონტმა დააზუსტა პასუხი, ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია ,,ERASMUS +'' პროექტის ფარგლებში, რაც, შემდგომ პროგამის სახით უნდა განხორციელებულიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შესაბამისად, პროქტის განხორციელების ფარგლებში არის შესწავლილი მსგავსი კვალიფიკაციების საჭიროების საკითხი საქართველში. ამიტომაც არის რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში უნდა შეიქმნას სპეციალური ჰაბები. ასევე მიუთითა, რომ შესაბამის დოკუმენტებში ასახულია მსგავსი პროგრამის განხორციელების აუცილებლობა.

რაც შეეხება საბჭოს წევრის მეორე კითხვაზე პასუხს, პროგრამის ბიუჯეტთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის მიზანი არის, დადასტურდეს უნივერსიტეტს აქვს თუ არა შესაძლელობა, უზრუნველყოს საფინანსო ეკონომიკური მდგრადობა ამ პროგრამისა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტს აქვს ერთიანი ბიუჯეტი. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილია პირველად ხარჯთ აღრიცხვა, სადაც შეფასებულია, შეუძლია თუ არა ინსტიტუციას პროგრმის ფარგლებში მიღებული შემოსავლებიდან დაიფაროს პროგრამის განხორციელების პირდაპირი ხარჯები, მაგ. შრომის ანზღაურება. შესაბამისად 40% ყველა პროგრამიდან მიემართება დაწესებულების ბიუჯეტში არაპირდაპირი ხარჯების ფორმირებისათვის, ეს არის პროფესიული განვითარება მხარდამჭერი მექანიზმები, წახალისება და ა.შ საიდანაც ხდება დაფინანსება ყველა ამ პროცესისა.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას და დაინტერესდა პრაქტიკის ნაწილით. მან აღნიშნა, რომ პროფესიის სეციფიკურობიდან გამომდინარე პრაქტიკულ ნაწილს აქვს არსებითად დიდი მნიშვნელობა. საქართველოს სკოლებში არსებული ვითარება არც თუ დამაკმაყოფილებელია. დიდია შესაბამისი მასწავლებლების დეფიციტი სკოლებში. შესაბამასიად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, პროგრამის პრაქტიკა მოიაზრებოდა ნებისმიერ სკოლაში თუ მხოლოდ იმ სკოლებში, სადაც იყო კონკრეტულად ამ მიმართულებით მასწალებელი და მოსწავლეები, ასევე დაინტერესდა დასავლეთ საქართველოში მსგავსი სკოლების არსებობისა და მათი რაოდენობის თაობაზე ინფორმაციით.
უნივერსიტეტის წარმოამდგენელმა მარინე გურგენიძემ აღნიშნა, რომ გაფორმებული იყო მემორანდუმი 21 საჯარო სკოლასთან, ბათუმის 6 საჯარო სკოლასთან და 7 კოლეჯთან საქართველოს მასშტაბით. თავად, სკოლების დაინტერესების შედეგად, გაფორმდა აღნიშნული მემორანდუმები. უშუალოდ პრაქტიკის გავლის შესაძლებლობასთან მან აღნიშნა, რომ ისევე როგორც უნივერსიტეტში არსებული 300 კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ისწავლება ინკლუზიური განათლების საკითხი, ასევე პილოტირებულ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანამათლებლო პრგრამის ფარგლებში ჩაშენებული პრაქტიკასთან მიმართებით, არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა სკოლების მხრიდან პრაქტიკის ნაწილში. პირიქით, დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლებში სპეციალური საჭიროების ბავშვების რაოდენობა მზარდია და თითქმის ყველა სკოლას აქვს საჭიროება სპეციალური მასწავლებლისა, გამომდინარე აქედან, სკოლები მიესალმებიან კიდეც პრაქტიკის კომპონენტს. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პასუხის შინარსი სრულად დამაკმაყოფილებელი იყო დასმულ კითხვაზე.
საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამების განხორციელება და შესაბამისი სპეციალისტების მომზადება, რადგან ამ კუთხით კადრების დეფიციტია. საბჭოს წევრის შეკითხვა მიემართებოდა ექსპერტების რჩევების ნაწილს, კერძოდ: 1.3 სტანდარტთან მიმართებით ,,მიზანშეწონილია დადგენილი სამიზნე ნიშნულების მაჩვენებელი არ იყოს უნიფიცირებული და დაკორექტირდეს მისაღწევი სწავლის შედეგების თავისებურებების გათვალისწინებით'' თუ კი ამ რჩევას არ გაითვალისწინებს დაწესებულება, შეიძლება თუ არა პროგრამას ჰქონდეს ხარვეზი და სთხოვა ექსპერტებს, დაეზუსტებინა აღნიშნული, წარმოადგენდა რჩევას თუ რეკომენდაციას.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ლია ქუციკიძემ აღნიშნა, რომ ამ კუთხით ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა რეკომენდაცია, რადგან დაწესებულებას მისცემოდა შესაძლებლობა, თავად გადაეწყვიტა შეფასების ნაწილი როგორ იქნებოდა უფრო სანდოს და გამჭირვალე. ხოლო რაც შეეხება კონკრეტულ მითითებას, იგი წარმოადგენდა ექსპერტების მხრიდან რჩევას, თუ როგორ შეიძლება მოგვარებულიყო ექსპერტთა მითითება. აღნიშნა, რომ რჩევის გათვალისწინება დაწესებულების უფლებამოსილებაა, თუმცა ზოგადი რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება იყოს უფრო მკაფიო და უფრო კონკრეტული უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.
ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა დაამატა, რომ დაწესებულება ადგენდა სამიზნე ნიშნულებს იმისათვის, რომ შემდეგ შეედარებინა მიღწეულ შედეგებს და დაედგინა რა ცდომილება იყო, საპროგნოზო და რეალურ შედეგებს შორის. აღნიშნა, რომ თუ დასაწყისშივე დაწესებულება გაითვალისწინებდა სპეციფიკას ეს ცდომილება შეიძლება ყოფილიყო უფრო ნაკლები. შესაბამისად, თუ უფრო რეალისტური სამიზნე ნიშნულები იქნება გათვალისწინებული, ცდომილება იქნება ნაკლები და გაამარტივებს ამ მექანიზმების გამოყენებას.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა რომ, მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნულ დარგში სპეციალისტების მომზადება და იმისათვის, რომ მსგავს საქმეს არის შეჭიდებული ინსტიტუცია, მადლობა გადაუხადა ძალისხმევისათვის და წარმატება უსურვა მომავალში სხვა დაწესებულებებსაც აღნიშნული პროგრამის გახორციელების საქმეში. საბჭოს წევრის კითხვა მიემართებოდა ინსტიტუციას. მან აღნიშნა, რომ მართალია წარმოდგენილი პროგრამა პასუხობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს, დასვა შეკითხვა, თუ რა გამოარჩევდა ამ პროგრამას სხვა მსგავსი პროგრამებისგან. საბჭოს წევრმა მიუთითა, რომ მართალია დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში იყო ხაზგასმა იმასთან დაკავშირებით, დარგობრივი დოკუმენტის შესაბამისად გადაწყდა პროგრამის შედეგების განმარტებისა, თუმცა, სთხოვა ინსტიტუციას წარმოეჩინა თუ რაში მდგომარეობდა წარმოდგენილი პროგრამის განსხვავებულობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ პროგრამის უნიკალურობას განაპირობებს ის რომ, ქვეყნის მასშტაბით დასაწყისი არის აღებული ორ ინსტიტუციაში, შესაბამისად ეს საგანმანთლებლო პროგრამები რომ მომზადდა საგრანტო პროექტის ფარგლებში, ალბათ ესეც იყო მაჩვენებელი ორიგინალობისა. შემდგომ ის, რომ მიდგომა იყო კონცეპტუალური და რეალურად საჭიროა მთელი ქვეყნის საჭიროებების გადაფარვა, რამაც განაპირობა არჩევანის გაკეთება სწორედ ორ ინსტიტუციაზე. ასევე, ის აქტივობები რომელიც განხორციელდა პროექტის ფარგლებში და რომელიც დაკავშირებული იყო მასწავლებლების, ლექტორების, ტრენერების, გადამზადებასთან და იმ უნარების შესწავლასთან დაკავშირებით, რასაც უკვე პრაქტიკაში განახორციელებენ.

დამაზუსტებელი შეკითხვა დასვა თამარ ლომინაძემ ინსტიტუციის მიმართ. კითხვა ეხებოდა დაშვების წინაპირობებს, კერძოდ: იქედან გამომდინარე, რომ სასწავლო კურსებს არ აქვს წინაპირობა და შეიძლება წამოვიდგინოთ რომ სასწავლო პროგრამა არის სრულად ჰორიზონტალურად წარმოდგენილი, რა ხდება იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი სწავლების პირველსავე სემესტრში სასწავლო პრაქტიკას გადის, თუ არავითარი წინაპირობა არ აქვს საგნებს და სასწავლო პრაქტიკა გადის მესამე დონეზე, მთლიანად არის განმტკიცებაზე, როგორ შეიძლება გავიდეს სტუდენტი სწავლების შედეგებზე იმისდა მიუხედავად, თუ როდის იქნა აღებული სასწავლო პრაქტიკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა გურგენიძემ აღნიშნა, რომ პირველი სემესტრის განმავლობაში არის საგნებში ჩაშენებული პრაქტიკა და ამ პროცესში სტუდენტი გარკვეულ წილად, შესაძლებელია გავიდეს განმტკიცების დონეზე, ასევე, პრაქტიკის პარალელურად არის საგნები, რომლებშიც არის ჩაშენებული პრაქტიკა. შესაბამისად, აღნიშნა მან, პრაქტიკული ნაწილი საკმაოდ ვრცელი მოცულობისაა სწავლების ფარგლებში, არა მხოლოდ 10 კრედიტის გავლა უწევს სტუდენტს, არამედ საგნებში ჩაშენებული პრაქტიკისაც. წინაპირობასთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნეს, რომ ვერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ვერც-ერთი საგნის სასარგებლოდ, გამომდინარე იქედან, რომ თუ კი ზოგად საგნებს ჩასვამდნენ მეორე სემესტრის საგნების წინაპირობად, ამ შემთხვევაში პირველი სემესტრის საგნები ,,ზარალდებოდა'', ხოლო, თუ კი პირველი სემესტრის საგნებს პრაქტიკის წინაპირობად ჩასვამდნენ, მაშინ მეორე სემესტრის საგნები. ზოგადად საგულისხმოა, რომ აღნიშნავს ინსტიტუციის წარმომადგენელი, რომ მეორე სემესტრის საგნები არის ისეთი მნიშვნელობის, როგორც არის აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან მუშაობა სკოლაში, ენა-მეტყველების კომუნიკაციის დარღვევის მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები, მხედველობის დარღვევის მქონე მუშობის თავისებურებები, ორივე ინსტიტუციის სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება აღარ განესაზღვრათ წინაპიროები, რადგან პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტს უწევდათ ხუთი ისეთ სამუშაოს შესრულება, თუ კი მათ არ ექნებათ გავლილი პირველი სემესტრის საგნები, ასევე პარალელურად ვერ შეძლებს დავალებების შესრულებას. ამიტომაც, დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით ორივე ინსტიტუციის მხრიდან იქნა თავი შეკავებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:07
დასრულების დრო: 15:54

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის შეფასება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით (2025 წლის 1 ივლისამდე), აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}- ემუხლის პირველი პუნქტის, 27^{5} - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6} - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2025 წლის 1 ივლისამდე), ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და გამოიკვეთოს შედეგების ავთენტურობა და უნიკალურობა პროგრამის სტრუქტურასთან, პროგრამის ინდივიდუალურ კონტექსტთან მიმართებით.
- რეკომენდებულია, გათვალისწინებულ იქნას სწავლის შედეგის ფორმირებაში მონაწილე კურსების სპეციფიკა, კავშირი პროგრამის სხვა კომპონენტებთან და მათი რეალური როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) კონკრეტული სწავლის შედეგის ფორმირებაში.
- რეკომენდებულია, მისაღწევი შედეგის სპეციფიკის გათვალისწინებით შეირჩეს და მიეთითოს შეფასების მხოლოდ ის მეთოდები, რომელთა მეშვეობით რეალურად შესაძლებელი იქნება ამ შედეგის მიღწევის დადასტურება (გაზომვა).

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სასწავლო გეგმა. კერძოდ, სასწავლო კურსებისთვის განისაზღვროს მასზე დაშვების წინაპირობები, პროგრამაში განისაზღვროს არჩევითი კომპონენტი.
- რეკომენდებულია, პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გადახედვა და მათი ჩამოყალიბება იმგვარად, რომ გახდეს კონკრეტული, რეალისტური და მკაფიოდ ჩანდეს სილაბუსში, თუ როგორ ხდება განსაზღვრული შედეგების მიღწევის გაზომვა/შეფასება.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სპეციალური მასწავლებლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მოტივაციური გასაუბრების ჩატარების წესი'' და დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა - მოტივაციური გასაუბრება, გახდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობა ჩარიცხვის ყველა კანდიდატისთვის.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან მიმართებით.
- რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსისთვის შემუშავებულ იქნას შეფასების რუბრიკები/სქემები, რათა მიღწეულ იქნას შეფასების უფრო მეტი სანდოობა, გამჭვირვალობა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვადობა.
- რეკომენდებულია, პროგრამის განათლების დონე მიეთითოს კანონმდებლობის შესაბამისად.

რჩევები:

- მიზანშეწონილია, დადგენილი სამიზნე ნიშნულების რაოდენობრივი მაჩვენებლები არ იყოს უნიფიცირებული და დაკორექტირდეს მისაღწევი სწავლის შედეგების თავისებურებების (სირთულის) გათვალისწინებით;
- მიზანშეწონილია, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს დამატებით ჩაუტარდეს ტრეინინგები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და მათი მნიშვნელობა, პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტების ურთიერთკავშირი და როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).
- მიზანშეწონილია, პროგრამაში აღწერილობაში მიეთითოს პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული რა ტიპის სერტიფიკატს მიიღებს;
- მიზანშეწონილია, მიეთითოს საკითხავი ლიტერატურის მოცულობა, თავები ან გვერდები მიწოდებული მასალიდან.
- მიზანშეწონილია, დაიგეგმოს სტუდენტთა ექსტრაკურიკულური აქტივობები;
- ინკლუზიური განათლების მიმართულებით უცხოური გამოცდილების გაზიარებისათვის, მიზანშეწონილია, სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის დაიგეგმოს საერთაშორისო მობილობა: გაცვლითი პროგრამები, საერთაშორისო პროექტები და სხვ.

მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2. **საფეხური** - ხორციელდება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში

3. **სწავლების ენა** - ქართული
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** -
5. **დეტალური სფეროს კოდი** -

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა გიორგი ღაღანიძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტთა თავმჯდომარეს წარმოედგინა პოზი ცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მიხეილ გიორგაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ პროგრამა არის 60 კრედიტიანი, იგი შემუშავებლია უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების მიერ ,,ერასმუს+'' პროექტის ფარგლებში, აღნიშნული პროექტი იძლევა შესაძლებლობას, რომ პროგრამის შემუშვებაში ჩართული ყოფილიყვნენ ასევე საქართველოს სხვა უსდ-ები, მათ შორის რეგიონის უნივერსიტეტები, რომლის ფარგლებშც შეიქმნა საინტრესეო და მდიდარი პროგრამა და ქართულევობანი სასწავლო რესურსები, როგორც სახელმძღვანელოები ასევე რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების მქონე პირთათვის. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ აღნიშნა, რომ მათი რეკომენდაციები არ არის ისეთი სიმძიმის და ხასიათის რომელიც საჭიროებს ხანგრძლივ მუშობას სამუშაო ჯგუფის მხრიდან. რეკომენდაციები ეხება როგორც ტექნიკურ ასევე შინაარსობრივ ნაწილს. რეკომენდაციებზე, რომელიც უკავშირება პროგრამის მიზნებს მან განმარტა: პროგრამის მიზანში ნახსენებია, რომ პროგრამა მიემართება მასწავლებლის მომზადებას, და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრების მიხედვით, აღნიშნული საჭიროებს დაკონკრეტებას და უნდა მიეთითოს, რომ პროგრამა მიემართება სპციალური მასწავლებლის მომზადების მიზნებს. ასევე, აღნიშნა, რომ პროგამის მიზანია განავითაროს საგანამანთლებლო და ფსიქოლოგიური დარგობრივი კომპეტენციები. ექსპერტთა მოსაზრების ათნიშნული ჩანაწერი გახლავთ ფართო ცნება. შესაბამისად, მათ მიაჩნიათ, რომ მიზნის ნაწილში, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნდა დაკონკრეტდეს

თუ რა მოიაზრება ,,საგანმანათლებლო ფსიქოლოგიურ დარგობრივ კომპეტენციებში''. ასევე, აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სწავლის შედეგების გადახედვა კიდევ ერთხელ მნიშვნელოვანი იქნება, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ერთი მხრივ დარგობრივ მახასითებელთან და მეორე მხრივ, თავად პროგრამისა და სასწავლო კურსების შედეგების შესაბამისობა გამოიკვეთოს.

ასევე, ექსპერტთა რეკომენდაცია უკავშირდება სწავლის შედეგების შეფასების გეგმას. აღნიშნული გეგმა დანართის სახით პროგრამას თან ახლათვს, თუმცა საგულისხმოა, რომ ერთი სწავლის შედეგი გადის რამდენიმე სასწავლო კუსზე და ასეა წარმოდგენილი თავად შეფასების გეგმაც, შესაბამისად გაჩნდა მოსაზრება, რომ თუ რომელიმე სწავლის შედეგი ვერ იქნა მიღწეული, ძალიან რთული გახდება იმის იდენტიფიცირება, თუ რომელ სასწავლო კურსთან გვაქვს პრობლემა. შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაცია მიემართებოდა იმისკენ რომ პროგრამის სამუშაო ჯგუფს დაედგინა არა სასწავლო კურსთან მიმართებით, თუ რომელ სწავლის შედეგებზე გადიოდა ეს სასწავლო კურსი, არამედ, ის ძირითად სწავლის შედეგი გამოყოფილიყო, რომლის შეჯამებაც და მიღწევაც ხდებოდა სასწავლო კურსში და მიაჩნიათ ექსპერტებს რომ ის გააიოლებს სწავლის შეფასების პროცესს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა რომ, მიუხედავად ლოგიკურად დალაგებული სასწავლო გეგემის, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნიეს, რომ სასწავლო კურსებს განსაზღვრული უნდა ჰქონდეთ დაშვების წინაპიროები, რადგან შესაძლებელია, სწავლა სტუდენტმა გააგრძელოს მეორე სემესტრიდან, შესაბამისად უნდა იყოს ცნობილი წინასწარ მიეცემა თუ არა სტუდენტს შესაძლებლობა მეორე სემესტრის კურსების გავლისა, მაგალითად ,,სპეციალური და ინკლუზიური განათლების პრინციპების'' გავლის გარეშე, როდესაც მეორე სემესტრში უკვე ჩაღრმავებული კურსებია.

ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენტაციები და აღნიშნეს რომ, ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ არის ტექნიკური უზუსტობები, თავად პროგრამის აღწერით ნაწილში მითითებულ წინაპირობებსა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციასთან, გამოცდებთან დაკავშირებით, დაწესებულება მზად არის გაასწოროს აღნიშნული უზუსტობები.

ასევე, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შეკითხვა იმასთან მიმართებით, რომ აპლიკანტს უნდა ქონდეს გამოცდილება, მაგალითად, ადრეული განათლების მიმართულებით მუშაობისა, ასევე დასაქმების სფეროებში მითითებულია, რომ მას შუეძლია პროფესიულ საფეხურზე დასაქმდეს ამ პროგრამის კურსდამთავრებული. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსი, პროგრამის სამუშაო ჯგუფი იზიარებს და ვიზიტის დროსაც დაადასტურეს რომ ეს პროგრამა ამზადებს სპეციალურ მასწავლებელს ზოგად საგანამანთლებლო დაწესებულებისა და შესაბამისი საფეხურისთვის, შესაბამისად მიაჩნიათ ექსპრტებს სპეციალური მასწავლებელის პროგრამა ამ ყველაფერს არ მოიცავს შესაბამისად, მაიჩნია ექსპერტებს რომ უნდა დაზუსტეს და გადაიხედოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, ასევე დასაქმების სფეროების ის ჩამონათვალი რომელიც პროგრამის აღწერით ნაწილში არის მითითებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი პროგრამის ხელმძღვანელი თამარ მახარაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსრეტებს და პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით წარმოადგინა პოზიცია, კერძოდ, კონკრეტული ჩანაწერი რომ ,,პროგრამა ამზადებს მასწავლებელს''. მსგავსი სახის ჩანაწერი ინსიტიტუციის მხრიდან ემსახურება, თავად მასწავლებლის ინსტიტუტის პოპულარიზაციას, რადგანაც, კვლევების შედეგად გამოიკვეთა რომ სპეციალური მასწავლებელთა მიმართ არსებობს გარკვეული სახის სტიგმა, ძირითადად სპეციალური მასწავლებელი აღიქმება, როგორც დამხმარე პერსონალი და არა მასწავლებელი.

რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, ექსპერტთა მოსაზრების მიხედვით, მოხდა დაკონკრეტება, რას ნიშნავს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები და დამოკიდებულებები. შესაბამისად გაკეთდა ჩანაწერი რომელიც უფრო ცხადს ხდის ჩანაწერს, ჩაიწერა რომ პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეიძინოს საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები და ასევე ჩამოიყალიბონ ის დამოკიდებულებები რომელიც საჭიროა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან სამუშოდ.
რაც შეეხება მესამე და მეოთხე რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა ლილი კენჭუაშვილმა აღნიშნა, რომ მზაობა აქვს დაწესებულებას ექსპერტთა რეკომენდაციები და რჩევები გაითვალისწინონ. რაც შეეხება არჩევითი კომპონენტის ჩართვას პროგრამაში, აღნიშნა, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია რადგან, პროგრამა 60 კრედიტიანია, შესაბამისად, იგი ვერ იძლევა შესაძლებლობას არჩევითი კომპონენტის ჩართვას, თავისი შინაარსიდან და შემჭირდროვებულ ვადაში განხორციელებიდან გამომდინარე, რაც შეეხება დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, აღნიშნა რომ ამ წინა საკითხის განხილვისას დაწესებულების წარმომადგენლებმა ვრცლად ისაუბრეს, შესაბამისად განსხვავებულის დამატებას ვერ შეძლებდა. თამარ მახარაძემ დაშვების წინაპირობების ერთ-ერთ კომპონენტზე, მოტივაციური გასაუბრების ყველა კანდიდატისთვის ჩატარებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება ეყრდნობა ,,ნაეკის'' მიერ ჩატარებული გამოცდების შედეგებს, შესაბამისად დამატებითი გასაუბრების ჩატარების საჭიროება დგება მხოლოდ თანაბარქულიან კანდიდატებთან კონკურენციის პირობებში. რაც შეეხება საკითხს, პროგრამაში შემომსვლელთა და შემდგომ სამსახურის დაწყების ადგილს, აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითეს, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში საქმიანობის არანაკლებ ორ წლიანი გამოცდილების პერსონას შეუძლია პროგრამაზე ჩაბარება, თუმცა დასაქმების შესაძლებლობა აქვთ კურსდამთავრებულებს როგორც სკოლაში, ასევე პროფესიულ სასწავლებელში, ვინაიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში საქმიანობის გამოცდილების მქონეს პირს შეუძლია, პროგრამაში, მნიშვნელოვანი ცოდნა დააშენოს თავის პრაქტიკულ გამოცდილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა კითხვებით მიმართა დაწესებულებას. მისი პირველი შეკითხვა ეხებოდა მოცემულობას, რომ არსებობს დარგობრივი მახასიათებელი სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის და ცალკე დარგობრივი მახასიათებელი მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის. დაწესებულების მხრიდან მას აინტერესებდა განმარტება, თუ რომელ დარგობრივ მახასიათებელთან იყო თანხვედრაში წარმოდგენილი პროგრამა. ასევე, მას აინტერესებდა წინაპირობებთან დაკავშირებით, კერძოდ: თუ კი სტუდენტს არ ექნებოდა კრედიტი მიღებული, მაგალითად, ,,სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლებთან'' მიმართებით, იგი შეძლებდა თუ არა, მეორე სემესტრის საგნების სრულად აღებას, და თუკი ეს ასე მოხდება, რა მექანიზმი აქვს ინსტიტუციას იმისათვის, რომ იმ სასწავლო კურსების არჩევა ვერ მოხერხებულიყო სტუდენტის მხრიდან, რომლის წინაპირობად აუცილებელია კონკრეტული კურსის საფუძვლების გავლა. პროგრამის ხელმძღვანელმა თამარ მახარაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება პროგრამის შემუშავების დროს დაეყრდნო არსებულ პრაქტიკას, როგორც ქართულს, ასევე უცხოურ გამოცდილებას, ყველაფერ იმ ასპექტს, რაც მისცემდა შესაძლებლობას პროგრამის ჩარჩოს შექმნისა, რაც შეეხება მეორე კითხვას თამარ მახარაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად წინაპირობების არ არსებობისა და იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტი მეორე სემესტრის საგნების აღებას შეძლებს, შეუძლებელია პრაქტიკის გავლა პირველი სემესტრის საგნების გარეშე. ლილი კუჭუაშვილმა დაამატა რომ, წინაპირობა შეიძლება დაედოს მხოლოდ პრაქტიკას, ყველა სხვა კურსები მანამდე არსებული, რადგან კურსებს რომელიც შემოთავაზებულია სასწავლო პროგრამაში სჭირდება კიდევ სხვა საბაზისო ცოდნა, რომელსაც სტუდენტის გადის სხვა პროგრამის ფარგლებში, მაგალითად ბაკალავრზე ან მაგისტრატურაზე. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ

რეკომენდაციის შესრულების ნაწილში, მხოლოდ, შესაძლებელია წინაპირობა განისაზღვროს მხოლოდ პრაქტიკისთვის და ეს იყოს ყველა თეორიული მანამდე გასავლელი საგნები და არა სხვა რომელი თეორიული კურსისათვის, ისევ თეორიული საგნის გავლა. დამაზუსტებელი კითხვა საბჭოს წევრისა მდგომარეობდა შემდეგში, რომ დაწესებულება მიიჩნევდა თუ არა რომ სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები იყო საჭირო ყველა მომდევნო სასწავლო კურსებისათვის. თამარ მახარაძემ აღნიშნა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში, პროგრამა მომზადებულია ისე, რომ პირველი კურსის საგნები ამზადებს სტუდენტს მეორე სემესტრში გასავლელი საგნებისა და პრაქტიკასთან მიმართებით და ასევე პრაქტიკის პარალელურად მიმდინარეობს. შესაბამისად, ყველა სტუდენტს ევალება თითოეული კურსის გავლა, რაც შეეხება დარგობრივ მახასიათებლის ნაწილში კითხვას, მან აღნიშნა რომ პროგრამის შემუშავებისას დაწესებულება დაეყრდნო სპეციალური მასწავლებლის მომზადების დარგობრივ მახასიათებელს.

საბჭოს წევრმა, გოჩა თუთბერიძემ ორი შეკითხვა დასვა. ერთი მიემართებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ხოლო მეორე როგორც ექსპერტთა ჯგუფს, ასევე ინსტიტუციას. მას აინტერესებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ 1.2. სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით, კერძოდ: ,,სასურველია გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, დაზუსტდეს თითოეულისთვის იმ სწავლის შედეგების მიღწევა, რომელიც მიიღწევა აღნიშნული კურსით'' აღნიშნა,რომ შემდეგ სტანდარტში აღნიშნული რჩევა იფარება რეკომენდაციით და ხომ არ ჯობია ეს რჩევა იქნეს ამოღებული და რადგან რეკომენდაცია ფარავს აღნიშნულ საკითხს. მეორე კითხვა ეხებოდა შემდეგ ჩანაწერს,რომ,,სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსებში საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განაწილებასთან და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის სირთულესთან'' გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საბჭოს წევრს აინტერესებს, ხომ არ ჯობდა ეს უფრო რეკომენდაცია იყოს, ვიდრე რჩევა. ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა მიხეილ გიორგაძემ აღნიშნა რომ არ არის წინააღმდეგი პირველი შემოთავაზებისა, რაც შეეხება საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განაწილების სპეციფიკას მიაჩნია, რომ მაინც რჩევაში უნდა დარჩეს რადგან, სხვადასხვა პროგრამაში არა არის ერთგვაროვანი მიდგომა კურსებს შორის, მოცემულ პროგრამაში მეტწილად განაწილებულია, თუმცა შესაბამისი დარგის სპეციალისტებს რამდენიმე კურსთან დაკავშირებით გაუჩნდათ აღნიშნული შეკითხვა, გამომდინარე აქედან, ამიტომაც არის იგი რჩევა, რომ თავად დაწესებულების მიერ მოხდეს გადამოწმება. დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ მახარაძემ აღნიშნა, რომ მათ მიაჩნიათ რომ საკონტაქტო საათები არის გადანაწილებული პროპორციულად, თუმცა, გამოთქვა მზაობა რომ შესაძლებელია პრაქტიკაში პროგრამის განხორციელებისას მოხდეს ცვლილებების შეტანა.

საბჭოს წევრს, თამარ ტუფინაშვილს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტების მიმართ. კერძოდ, ერთ-ერთ რეკომენდაციაში იკითხება, ,, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების და სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. '' თუმცა, აქვე დასძინა, რომ ქვესტანდარტის მიხედვით, ,,პროგრამის სწავლის შედეგები სრულად იმეორეს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შედეგებს'' შესაბამისად, აინტერესებდა ,,შესაბამისობაში უნდა მოვიდეს'' თუ ,,სრულად იმეორებდა''. ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენდა მიხეილ გიორგაძემ აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა,, რომ ძირითად ნაწილში შესაბამისობაშია თუმცა, არის რამდენიმე საკითხი, სადაც შესაბამისობაში უნდა მოვიდეს დარგობრივ მახასიათებელთან, კერძოდ: დარგობრივი მახასიათებელი ითვალისწინებს, რომ სპეციალური მასწავლებელს უნდა ჰქონდეს განვითარების დარღვევებისა და მათი გამოვლინების შესახებ ცოდნა, სასწავლო კურსების შინაარსი ითვალისწინეს და პროგრამაში დაგეგმილია ამ მიმართულებით შესაბამის ცოდნისა და კომპეტენციების გამომუშავება, თუმცა პროგრამის სწავლის შედეგებში ეს მკაფიოდ არ ჩანდა.

საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ დამაზუსტებელი კითხვა დასვა ექსპერტების მიმართ, ერთ-ერთ გაცემულ რჩევასთან მიმართებით, კერძოდ: ,,საჭიროა გაძლიერდეს

სტუდენტთა მხარდაჭერა დასაქმების საჭიროებისათვის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით'' კერძოდ საბჭოს წევრს აინტერესებდა რატომ გახდა საჭირო ამ რჩევის მიცემა ინსტიტუციისთვის და რა უნარ-ჩვევები არ იყო გათვალისწინებული პროგრამაში ამ კუთხით. ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული რჩევა შეეხებოდა უფრო უნივერსიტეტის რესურსებს, ვიდრე პროგრამის შინაარსს, ეყრდნობა თავად კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუებს. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით აღნიშნული შეიძლება ყოფილიყო რეკომენდაცია, თუმცა მოკლევადიან პროგრამაში რადგანაც დაწესებულება შეზღუდულია დროში აღნიშნული წარმოადგენდა რჩევას და თუმცა მიუხედავად სირთულისა საჭიროა აღნიშნული კომპონენტის გათვალისწინებაც.რაც შეეხება მესამე და მეოთხე რეკომენდაციას დაწესებულების წარმომადგენელმა ლილი კენჭუაშვილმა აღნიშნა, რომ მზაობა აქვს დაწესებულებას ექსპერტთა რეკომენდაციები და რჩევები გაითვალისწინონ. რაც შეეხება არჩევითი კომპონენტის ჩართვას პროგრამაში, აღნიშნა, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია რადგან, პროგრამა 60 კრედიტიანი შესაბამისად, პროგრამა ვერ იძლევა არჩევითი კომპონენტის ჩართვის შესაძლებლობას თავისი შინაარსიდან და შემჭირდროვებულ ვადაში განხორციელებიდან გამომდინარე. რაც შეეხება დაშვების წინაპირობებს, მან აღნიშნა რომ ამ წინა საკითხის განხილვისას დაწესებულების წარმომადგენლებმა ვრცლად ისაუბრეს, შესაბამისად განსხვავებულის დამატებას ვერ შეძლებდა. თამარ მახარაძემ დაშვების წინაპირობების ერთ-ერთ კომპონენტზე, მოტივაციური გასაუბრების ყველა კანდიდატისთვის ჩატარებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება ეყრდნობა ,,ნაეკის'' მიერ ჩატარებული გამოცდების შედეგებს, შესაბამისად დამატებითი გასაუბრების ჩატარების საჭიროება დგება მხოლოდ თანაბარქულიან კანდიდატებთან კონკურენციის პირობებში. რაც შეეხება საკითხს, პროგრამაში შემომსვლელთა და შემდგომ სამსახურის დაწყების ადგილს, აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითეს, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში საქმიანობის არანაკლებ ორ წლიანი გამოცდილების პერსონას შეუძლია პროგრამაზე ჩაბარება, თუმცა დასაქმების შესაძლებლობა აქვთ კურსდამთავრებულებს როგორც სკოლაში ასევე პროფესიულ სასწავლებელში, ვინაიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში საქმიანობის გამოცდილების მქონეს პირს შეუძლია, პროგრამაში, მნიშვნელოვანი ცოდნა დააშენოს თავის პრაქტიკულ გამოცდილებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:37
დასრულების დრო: 16:49

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2025 წლის 1 ივლისამდე), 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 272 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, პუნქტის საფუძველზე სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2025 წლის 1 ივლისამდე), 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნები. კერძოდ, გამოიკვეთოს არა ზოგადად “მასწავლებლის”, არამედ “სპეციალური მასწავლებლის” მომზადებისკენ მიმართული აქცენტები. ასევე მკაფიო გახდეს და დაკონკრეტდეს, რა მოიაზრება საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიურ დარგობრივ კომპეტენციებში.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს ის სასწავლო კურსებისა და სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. კერძოდ, თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის განისაზღვროს ის სასწავლო კურსი და სასწავლო კურსის შეფასების ის კომპონენტი/კომპონენტები, რომლის ფარგლებშიც აკუმულირდება/ჯამდება შესაბამისი სწავლის შედეგი.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სასწავლო გეგმა. კერძოდ, სასწავლო კურსებისთვის განისაზღვროს მასზე დაშვების წინაპირობები, პროგრამაში განისაზღვროს არჩევითი კომპონენტი;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ, დაზუსტდეს მოტივაციურ გასაუბრებაზე აპლიკანტთა გასვლის პირობები. ასევე გადაიხედოს მოთხოვნა სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის შინაარსთან. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, გადაიხედოს დასაქმების სფეროები და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის წინაპირობებსა და მის შინაარსთან;

რჩევები:

- სასურველია, სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურიდან მიეთითოს კვირის თემატიკის მიხედვით დასამუშავებელი მასალის გვერდები;
- სასურველია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა. დაზუსტდეს, თითოეული კურსისთვის იმ სწავლის შედეგის მიღწევა, რომელიც ჯამდება/მიიღწევა აღნიშნულ კურსში;

- სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსებში განსაზღვრული საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განაწილება და შესაბამისობაში მოვიდეს ის კურსის სირთულესა და სპეციფიკასთან.
- სასურველია, დაზუსტდეს პედაგოგიური პრაქტიკის მოცულობა. განისაზღვროს პრაქტიკის მოცულობა როგორც პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის, ისე კურსებში ჩაშენებული ფორმატის ფარგლებში.
- სასურველია, შეფასების შესახებ სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, გამოყენებული იყოს ერთი პლატფორმა.
- სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტთა ინფორმირება შრომის ბაზარზე მიმდინარე სიახლეების შესახებ. ასევე, გაძლიერდეს სტუდენტთა მხარდაჭერა დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 10 წუთით შემდეგი საკითხის განხილვამდე
შესვენების დაწყების დრო : 16:50
შესვენების დასრულების 17:00

3. მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია
2. **საფეხური** - მაგისტრატურა
3. **სწავლების ენა** - ქართული
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ფსიქოლოგიის მაგისტრი
5. **დეტალური სფერო სკოდი** - 0313 - ფსიქოლოგია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ თვითაცილება განაცხადა გიორგი ღაღანიძემ და ნინო ჭალაგანიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინამისი პოზიცია.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტმა ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული იყო ოთხი რეკომენდაცია. ერთი რეკომენდაცია ეხებოდა 1.2. სტანდარატს, კერძოდ: ,,გადახედილ იქნას კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით.'' მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია პოზიცია შესაბამისად დასკვნაში არ იყო წარმოდგენილი ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ამ ნაწილის შესახებ. შემდეგი რეკომენდაცია ეხეოდა 2.4 სტანდარტს, სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებით. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ დასწრების ქულა შეცვლილიყო აქტივობის ფორმით და აქტივობის ფორმისათვის განსაზღვრულიყო შეფასების კრიტერიუმები. ასევე, მორიგი რეკომენდაცია ეხებოდა, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს და იგი შესაბამისობაში უნდა მოსულიყო ,,N3 ბრძანებასთან''. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს რეკომენდაცია დასწრების ქულის ნაცვლად აქტივობის შეფასებასთან მიმართებით. ასევე, შესაბამისობაშია მოყვანილი და გათვალისწინებულია საბჭოს რეკომენდაცია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით ,,N3 ბრძანებასთან''. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დებულებაში დაწესებულებას გამოყენებული ჰქონდა, რომელიც შემდგომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის N105 ბრძანებით დაკორექტირდა, კერძოდ: ,,აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, ფორმულირებიდან ამოღებულ იქნა შეფასება, მაქსიმალური შეფასება'' ძველი შეფასების სისტემის ფორმულირებები, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სიტყვები შეფასების სისტემის არსს არ ცვლის, უმჯობესია შეფასების ნაწილი მინისტრის „ბრძანება N3-ის“ შესაბამისად იქნას ფორმულირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ ,,გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სხვა დანარჩენ 5 სამაგისტრო პროგრამასთან ერთად იყო მონიტორინგზე და იქაც ფიქსირდებოდა მსგავსი რეკომენდაციები, შესაბამისად, საბჭომ მოხსნა ეს რეკომენდაცია პროგრამებთან მიმართებით და გასული წლის სექტემბერში იქნა ახალი ანგარიში წარდგენილი. სამაგისტრო ნაშრომების დებულებასთან დაკავშირებით, წინა ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია ყველა პროგრამაზე გასცა, თუმცა, უზუსტობის გამო, ვინაიდან ექსპერტებმა ძველი დებულებით ისარგებლეს,

საბჭომ წინა პროგრამებთან მიმართებით მოხსნა აღნიშნულიც. რაც შეეხება რეკომენდაციებს, დასწრების ქულასა და მემორანდუმებს საბჭოს რეკომენდაციები შესრულებულია და უზუსტობები გასწორებულია. რაც შეეხება ყველა პროგრამის კურიკულუმის რუკას, ყველას აქვს სტანდარტულად გაცემული რეკომენდაცია ჯერ კიდევ 2022 წელს ექსპერტების მიერ, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია იყო ზოგადი ხასიათის. წინარე შემთხვევებში საბჭომ ასევე მოხსნა ეს რეკომენდაციებიც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ კი ექსპერტთა ჯგუფი გასცემს კონკრეტულ რეკომენდაციას, მაშინ შესაძლებელია მსჯელობა და ფიქრი სწავლის შედეგების გამოსწორებაზე. აქვე აღნიშნა, რომ სხვა შემთხვევაში, როდესაც მოხდა პროგრამის კურიკულუმის რუკის გადახედვა არ დამდგარა ცვლილების საჭიროება. თუმცა გამოთქვა მზადყოფნა, რომ თუ კი დადგება ცვლილებების საჭიროება კიდევ ერთხელ გადახედავენ აღნიშნულს. 2022 წელს გაცემულ სხვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მომენტისთვის არ ჰქონდა პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა ინსტიტუციას, მისი თქმით, წარმოდგენილ ორ სილაბუსთან დაკავშირებით იყო რეკომენდაცია დასწრების ქულასთან მიმართებით, რომელიც შემდეგ გასწორდა და დაინტერესდა სხვა სილაბუსებშიც მსგავსად იყო თუ არა საკითხი. დაწესებულების წარმომადგენელმა ლალი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ორ სილაბუსთან დაკავშირებით იყო ტექნიკური ხარვეზი, რაც გასწორდა. საბჭოს წევრ აკაკი ხელაძეს კითხვა ჰქონდა ინსტიტუციასთან, მას აინტერესებდა რეკომენდაცია 2-ის შესაბამისად მემორანდუმებში რაოდენობების მითითების საკითხი. მისი კომენტარი უკავშირდებოდა აღნიშნული საკითხის რჩევის სახით დაფიქსირების საჭიროებას, თუმცა სანამ ინსტიტუციის წარმომადგენელი კითხვაზე პასუხს გასცემდა, საბჭოს სხვა წევრმა დიანა მჭედლიშვილმა გააკეთა კომენტარი, იმის შესახებ, რომ კონკრეტულ ჩანაწერს ითხოვს სტანდარტი, შესაბამისად, მის კითხვაზე პასუხი მიღებულად ჩათვალა ბატონმა აკაკი ხელაძემ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:20

დასრულების დრო: 17:27

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება, კერძოდ, 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში, რამაც გამოიწვია მთლიანად სტანდარტის შეფასების ცვლილება და პირველი სტანდარტის შეფასება, ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", განისაზღვრა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევა:
სასურველია, გადახედილი იქნეს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით;

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" - აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში
2. **საფეხური** - მაგისტრატურა
3. **სწავლების ენა** - ინგლისური
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - მეცნიერების მაგისტრი ინფორმატიკაში
5. **დეტალური სფეროს კოდი** - 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა სხდომის თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ და სხდომას თავმჯდომარეობა გაუწია გოჩა თუთბერიძემ.

თვითაცილება ასევე, განაცხადა ქეთევან ქუთათელაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა ოჯახის წევრის შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დამოუკიდებენექსპერტ (ებ)სწარმოედგინა (თ)მისი პოზიცია.
დამოუკიდებელმა ექსპერტმა, მანანა ხაჩიძემ წარმოადგინა დასკვნა, და განაცხადა, რომ დასკვნა მოამზადა წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადისა და მასზე დართული დოკუმენტაციის საფუძველზე. მან მიუთითა, პირველ სტანდარტზე, ,,სწავლის შედეგებისა და მიზნების ურთიერთშესაბამისობა და მათ შესაბამისობას პროგრამის შინაარსთან'' და აღნიშნა,რომ მიზანში გაკეთებულია აქცენტი საინჟინრო გეომეტრიაზე, მასში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსტრუმენტების გამოყენებაზე. შედეგად კი წარმოდგენილია ისეთი საკითხები, რომელიც მიზნებში იყო გაწერილი, მაგალითად, ღრმა და სისტემური ცოდნა ბირთვული კვლევების ექსპერიმენტთან დაკავშირებული ინფორმატიკის ამოცანების შესახებ. წარმოადგენს შეხედულებებს კვლევებისა და საქმიანობის შედეგებს, არგუმენტირებულ დასკვნას, დოკუმენტაციას, სამეცნიერო ტექნიკურ პუბლიკაციებს, სხვადასხვა სამეცნიერო და სასწავლო პროფესიულ პროექტებში.
ასევე, აღნიშნა,რომ პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, საგნების ჩამონათვალი და მათი შესაბამისი სილაბუსები, აღნიშნული შედეგების მიღწევას ვერ უზრუნველყოფს. გარდა ამისა, თუ კი მისანიჭებელ კვალიფიკაციად განიხილებოდა ,,მეცნიერების მაგისტრი ინფორმატიკაში'' მაშინ, სწავლების შედეგების აღწერაში მინიმალურ დონეზე მაინც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, არსებული დარგობრივი მახასიათებელი. აღნიშნა, რომ ასევე საყურადღებო იყო, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიები და ინფორმატიკა, ეს ორი ერთი და იმავე იერარქიულ საფეხურზე მდგომი მიმართულება რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში არის აღწერილი. შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაციაც უნდა იყოს რომელიმე ერთ-ერთი, დამოუკიდებელი ექსპერტი მანანა ხაჩიძე მიიჩნევს, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის სათაური სრულად შეუსაბამოა ერთმანეთთან.
რაც შეეხება მეორე სტანდარტის ქვესტანდარტთან მიმართებას, რომელიც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას განსაზღვრავს, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სახით ვერ უზრუნველყოფდა ისეთი პირების შერჩევას, რომლებიც შეძლებენ კვანტურ მექანიკასთან დაკავშირებული საგნების შესწავლას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული, პროგრამის მიზანს არ წარმოადგენდა თუმცა შემოთავაზებულ კურსებში ჰქონდა პროგრამას, როგორც ძირითადი საგანი. საგულისხმოა, რომ შინაარსი და სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფდა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მისი ვიწრო და სპეციფიკური შინაარსის გამო, რომელიც დაკავშირებულია, საინჟინრო გეომეტრიასთან. ასევე აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო ინფორმაციული ტექნოლოგიები ყოფილიყო ინფორმატიკის მისანიჭებელი ხარისხი. სასწავლო კუსები რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, აღნიშნავს ექსპერტი, სპეციფიკურად მოიცავს, პაკეტების შესწავლას რომელიც დაკავშირებულია 2d, 3d

მოდელირებასთან. უშუალოდ ბირთვულ ფიზიკასთან დაკავშირებული საგანი, მეტად სიღრმისეულია შესაბამისად, ფიზიკის ფუნდამენტური ცოდნის გარეშე მისი დაძლევა ეჭვქვეშ იქნება.
რაც შეეხება პროგრამის სწავლის უზრუნველყოფას, რომელიც დაკავშირებულია, ადამიანურ რესურსთან, დამოუკიდებელმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი ნამდვილად მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა, მაგრამ, საგნების უმრავლესობის მოცულობა არის 10 კრედიტი და 6 ადამიანზეა გაწერილი საგნები. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მხრივ, სრულად მყარი მდგომარეობა არ ჩანდა. მთლიანობაში, პროგრამა მეტად ვიწრო მიმართულებით შემოიფარგლებოდა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მისი მიზანი იყო კონკრეტული სამუშოს შესასრულებლად ჯგუფის შეიარაღება, კვლევით საინჟინრო საქმიანობა.
დასაქმების ფართო სპექტრს რაც შეეხება, დამოუკიდებელმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორი პროგრამული პაკეტის შესწავლით, რომელიც მოდელირებასთან არის დაკავშირებული რამდენად არის შესაძლებელი მსგავს სფეროებში დასაქმება, დასაფიქრებელია.
მეორე დამოუკიდებელმა ექსპერტმა მარინა ხიზანიშვილმა აღნიშნა, რომ იზიარებდა დასკვნის ასპექტებს, და მიუთითა, რომ პროგრამის შეფასება მოხდა დარგობრივ მახასიათებელთან მიმართებაში. შესაბამისად დოკუმენტში განსაზღვრული ცოდნის სფეროები სრულად უნდა იფარებოდეს, თუმცა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სასწავლო კურსები მას სრულად ვერ ფარავს. რაც შეეხება მიზნებსა და შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ტოპოლოგიურ შეფასებაზეა გაკეთებული, ხოლო შედეგები კი ეხება ბირთვული ინჟინერიის ცოდნის უნარების შეძენას. შესაბამისად მიუთითა, რომ დასახვეწი იყო მიზნები და შედეგები.
რაც შეეხება მიღების წინაპირობებს, აღნიშნა, რომ პირველ სასწავლო კურსს წარმოადგენს ,,მიახლოებითი გამოთვლები კვანტურ მექანიკაში'', ხოლო რაც შეეხება მისაღებ გამოცდებს ამ ნაწილში მომავალი სტუდენტის ცოდნის შეფასება არ ხდება. რა შეეხება პერსონალს, რომელიც წარმოდგენილია აღნიშნა,რომ ისინი ვერ უზრუნველყოფდა პროგრამის მდგრადობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ნაწილობრივ გათვალისწინებული აქვს რჩევები და რეკომენდაციები, ასევე აღნიშნა რომ ამ პროგრამამ 2025 წელს უნდა გაიაროს კლასტერული აკრედიტაცია, შესაბამისად გათვლილი იყო დაწესებულების პოზიცია, რომ თუ კი იქნებოდა რაიმე შენიშვნები, ხელახალი აკრედიტაციისათვის ეს შენიშვნები დაწესებულებას ექნებოდა გათვალისწინებული. ადამიანური რესურსების ნაწილში აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომ ისე როგორც პირველი ასევე მეორე შეფასების ნაწილში ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა მხოლოდ სილაბუსის ავტორების რესურსი შეეფასებინათ, პროგრამის პერსონალი რაოდენობრივად ძალიან ბევრია და ასევე, მაღალკვალიფიციური, შესაბამისად ამ კუთხით პრობლემა არ იდგა.
რაც შეეხება პროგრამის სახელწოდებას ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში'' ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია ,,ინფორმატიკა''. ექსპერტთა დასკვნაში ასახულ ამ შეუსაბამობას, აღნიშნულთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ პროგრამას შეეცვლება სახელწოდება და მას ერქმევა ,,ციფრული დიზაინის კომპიუტერული ტექნოლოგიები'' შესაბამისად, აღნიშნულით აღმოიფხვრება არსებული შეუსაბამობები. აღნიშნა, რომ იცნობენ იმ მახასიათებლებს რაც საქართველოში მოქმედებს, წარმოდგენილი პროგრამა არის საკმაოდ სპეციფიკური, მიზანიც, ვიწრო ველში განხილული, თუმცა დასაქმების ჩამონათვალი რეალურია. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, ემსახურება მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას.
ალექსანდრე (ლაშა) შარმაზანაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტების დასკვნის ძირითად ნაწილს იზიარებდა დაწესებულება, თუმცა, პირველ სტანდარტთან მიმართებით, აღნიშნა, რომ სადაც

ექსპერტებს მინიჭებული აქვთ, ,,ნაწილობრივ შესაბამისობა'', ამ ნაწილში არ იზიარებდა ექსპერტების შეფასებას, გამომდინარე იქიდან, რომ განმარტა, ბირთვული ექსპერიმენტების კვლევებში ინფორმატიკის ამოცანები არ იყო კლასიკური, იგი არის სპეციფიკური. აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა მოდელირების ამოცანას, რაც ინფორმატიკის თვალსაზრისით ინფორმაციის მართვის ამოცანაა. ასევე, განმარტა, რომ მოდელირება გამოიყენება 3 ფაზაზე, საინჟინრო ანალიზი ფიზიკური პროცესების სიმულაცია და კოგნიტიური ვიზუალიზაცია. აღნიშნა, რომ ექსპერტების შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ სასწავლო პროგრამა არ ითვალისწინებდა ფიზიკის შესწავლას არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რადგან ეს პროგრამა არ ისახავდა მიზნად მოდელირებაში გამოყენებული მოდელების გამოყენებას, არამედ ამ პროგრამის მიზანი არის მოდელებისათვის საწყისის აღწერილობის მომზადება, რაც ერთმანეთისაგან არსობრივად განსხვავებულია. ექსპერიმენტებში საწყისი აღწერილობითი მოდელირებები ჰიპერ კომპლექსური არის, განმარტა მან, მაგალითად: ატლასის დეტექტორის კომპიუტერული მოდელი შედგება ორმოცდახუთი მილიონი პრივიტიზმისაგან და 1.3 მილიონი სიმეტრიული აღწერისაგან რაც 15 ჯერ აღემატება, ბოინგის თვითმფრინავის კომპიუტერულ მოდელს. ამგვარი კომპლექსური, აღწერების მომზადებას მოითხოვს განსხვავებულ მიდგომებს, გარდა ამისა საჭიროა აღწერების შემდგომი პროგრესირდება, გამარტივება და რაც აბსოლუტურად ერთმანეთისაგან განსხვავებულია. აღნიშნა, რომ ექსპერტების შეფასებაში ეს სიღრმეები არ ჩანდა. პროგრამის ხელმძღვანელის, ალექსანდრე შარმანაზანაშვილის, მოსაზრებით, საბჭომ არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პირველ სტანდარტთან მიმართებით, ამ შეფასებებზე დაყრდნობით. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის დასახელებასა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას შორის მართლაც არსებობს შეუსაბამობები, რაც იქნება გამოსწორებული და ასევე აღნიშნა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია, განსაზღვრულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, ყველაზე ახლო მდგომი მისანიჭებელი კვალიფიკაცია დასახელებულ პროგრამასთან მიმართებით იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, პრობლემის მოგვარება შესაძლებელი იყო მხოლოდ პროგრამის დასახელების შეცვლით, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა. რაც შეეხება პროგრამის შექმნის მოტივაციას, აღნიშნა, რომ თავად წარმოადგენს ბირთვული კვლევების ცენტრს, მათ აქვთ ხანგრძლივი სამეცნიერო კოლაბორაცია ევროპულ ორგანიზაციასთან 2004 წლიდან, აქტივობის ფარგლებში 25 ზე მეტი სამუშაო პაკეტი აქვთ შესრულებული. ასევე, ბირთვული კვლევის ცენტრი ატარებს გადამზადების პროგრამებს, რომელიც ერთ წლიანია, რაც ხელს უწყობს ბაზარზე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, დარგში. ინფორმატიკის სასწავლო კურსის პროგრამის ხარისხი განისაზღვრება მასში ჩადებული ინოვაციის ხარისხით, რომელიც განსაზღვრავს კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას აღნიშნა მან, ასევე ისაუბრა პროგრამის ძლიერ მხარეზე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში, რომ წარმოდგენილი პროგრამა დაფუძნებულია სასწავლო კვლევაზე, უწყვეტ კავშირშია ინოვაციასთან, ასევე ეფუძნება ,,ცერნის'' კოლაბორაციას. გამომდინარე აქედან, რომ გადამზადების პროგრამების მიმართ იყო ახალგაზრდების მაღალი დაინტერესება შესაბამისად ამ ხნის განმავლობაში მათ დაინახეს რომ აქვთ ცოდნა კომპეტენცია და უნარ-ჩვევა, ახალგაზრდების გადამზადების შესაძლებლობა, სწორედ ეს გახდა მოტივაცია, აღნიშნული პროგრამის შექმნისა.

დავით მახვილაძემ დაამატა ინფორმაცია მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, და წარმოადგინა დაწესებულების პოზიცია, რომ ექსპერტებს ორივე შეფასების ნაწილში, ჰქონდათ შეკითხვები პროგრამის მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, რამდენად შეძლებდა სტუდენტი სწავლის შედეგებზე გასვლას, აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებამ შეცვალა პროგრამაზე მიღების წინაპირობები და მხოლოდ STEM მიმართულებების ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებს შეეძლებათ პროგრამაზე ჩარიცხა, ასევე, სპეციალურად ამ პროგრამისთვის არის შექმნილი წინარე გამოცდები - ტესტები, აღნიშნული კომბინაცია კი გამორიცხავს სათანადო ცოდნის არ მქონე აპლიკანტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინათ მისი პოზიცია.

ექსპერტმა, მიხეილ რუხაიამ, განმარტა რომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნის მსგავსია. ექსპერტებმა გასცეს 12 რეკომენდაცია, კერძოდ, პირველი შეეხებოდა კლასიფიკატორთან შესაბამისობას, მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა კვალიფიკაციას, კერძოდ მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა ჩანაცვლებულიყო იმ კვალიფიკაციით, რომელიც ყველაზე უფრო მეტად შეესაბამებოდა პროგრამის შინაარსს, ასევე სხვა რეკომენდაციები დეტალურად მოახსენა საბჭოს. კერძოდ, მესამე რეკომენდაცია გახლდათ, ,,შეიცვალოს პირველი სწავლის შედეგი ისე რომ იგი მისაღწევი იყოს პროგრამის შინაარსის შესაბამისად. '' მეოთხე რეკომენდაცია - ,,შეიცვალოს სასწავლო რუკის გეგმა, ისე რომ პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვა შესაძლებელი იყოს კვლევის კომპონენტით ან შეიცავდეს სხვა სასწავლო კურსებს, რომელიც აითვისებენ შედეგებს მაგისტრატურის დონეზე, ამით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის შედეგების სრული მიღწევა შესაბამისი კომპეტენციებით რომლებიც მიაღწევენ პროგრამის ყველა შედეგს'' მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სახელის უფრო მეტად შესაფერისი დასახელებით შეცვლას. მეექვსე ეხებოდა რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ამოიღოს წინაპირობის კურსიდან ,,პოლიტიკური აზროვნება'' და ,,არგუმენტირებული მსჯელობა''. მეშვიდე რეკომენდაცია იყო ის რომ ,,გადაიხედოს სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა რათა უზრუნველყოფილი იყოს რომ ის მოიცავდეს კურსის ყველა თემას''. მერვე რეკომენდაციის მიხედვით ,,დაშვების წინაპირობებში მკაფიოდ იყოს მითითებული ..... მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხი''. მეცხრე რეკომენდაციის მიხედვით, ,,უნდა გაუმჯობესდეს აკადემიურ პერსონალში ინგლისური ენის ცოდნა, ან დაემატოს ინგლისურენოვანი აკადემიური პერსონალი''. მეათე რეკომენდაცია იყო შემდეგი, რომ ,,პროგრამების სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში ჩართული უნდა იყოს დამატებითი პერსონალი, ამჟამად არსებული აკადემიური პერსონალი არ არის საკმარისი პირველ წელს დაგეგმილი 20 სტუდენტთან მუშაობისათვის'' მეთერთმეტე რეკომენდაციის მიხედვით, ,,სილაბუსებში მითითებული წყაროები უნდა იყოს ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ელექტრო ან ბეჭდური სახით'' და მეთორმეტე რეკომენდაციის მიხედვით, რადგან პროგრამა ახალია და ამავდროულად არის სიახლე, რეკომენდებულია რომ გარე შეფასება განხორციელდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.
ექსპერტმა ავთანდილ თავხელიძემ დაამატა რომ, ვინაიდან დაწესებულებამ აღნიშნა, რომ პროგრამა იყო ინოვაციური, იგი უნდა გაიზომოს თავისი საზომით, კერძოდ, პატენტების რაოდენობით. რაც შეეხება აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან პატენტს, მსგავსი არ იძებნება. ლაშა შარმაზანაშვილმა ექსპერტის კომენტარზე ყურადღება გაამახვილა, რომ კოლაბორაციას ეკუთვნის ყველა ის პატენტი, რაც უკავშირდება აღმოჩენებს, შესაბამისად, ამ კუთხით შესაძლებელია მის თაობაზე ინფორმაციის მოძიება ,,CERN-თან'' თანამშრომლობის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შიფრი 0613. ეს არის კლასიფიკატორის მიხედვით, ,,პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი''. მიუთითა რომ, აღნიშნული შიფრი დასახელებასთან კორელაციაში არ მოდიოდა სრულად, შესაბამისად, ეთხოვა მიერ დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, რადგან ისინი მზაობას გამოთქვამდნენ შეცვლაზე, არსებული კლასიფიკატორის მიხედვით, რომელი ციფრით იქნებოდა მითითებული. დაწესებულებამ დაადასტურა, რომ იმავეს ტოვებენ და კოდი იქნებოდა 0613.1.1, ხოლო, სათაურს შეცვლიან და კვალიფიკაციასთან მოიყვანენ თანხვედრაში.
საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას ჩამოთვლილი დასაქმების სფეროებთან დაკავშირებით, ასევე იკითხა, თუ რა იყო პროგრამის ძირითადი მიზანი და ვისთვის ამზადებდა კადრებს. ასევე, დაინტერესებას კვლევითი კომპონენტის

ფარგლებში, რა ტიპის კვლევების განხორციელება მოიაზრებოდა, რადგან, როგორც მან აღნიშნა სამეცნიერო ნაშრომი უნდა მოიცავდეს აუცილებლად კვლევის კომპონენტსაც. ასევე დაინტერესდა წინაპირობასთან მიმართებით. ლაშა მაზანაშვილმა ახსნა პროგრამის შინაარსი და აღნიშნა, რომ იგი წარმოადგენდა მოდელირების ამოცანას, შეიძლება იდგეს პროგრამა ისე რომ მოდელირებაში რა კონკრეტული მოდელებიც არის გამოყენებული მათ დამუშავებაზე იყოს ორიენტირებული, ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ისწავლებოდეს ფიზიკა, კვანტურ მეცნიერება, თუმცა საქმე იმაშია აღნიშნავს ის, რომ ეს პროგრამა ეხება მოდელებისთვის საწყისი აღწერილობების დამუშავებას, ასევე, მან აღნიშნა, რომ ეს არის ჰიპერკომპლექსური აღწერები, ეს მოდელები არის ძალიან რთული, შესაბამისად მათ დამუშავებას პირველ რიგში სჭირდება საფუძვლები შესაბამისად კვლევითი კომპონენტი სწორედ ამ ნაწილში მოიაზრებოდა. შესაბამისად, თითოეულ ფაზაზე აღწერები გამოიყენება და მათ სჭირდება გარდაქმნა გამარტივება, რადგან მათი ფორმით ისინი გამოუყენებელია იმ მოდელირების ამოცანებისათვის. ეს გარდაქმნები თავისი კრიტერიუმებით, მეთოდებით, მიდგომებით, არ არის მეცნიერების ტევადი ამოცანა, არამედ თვითონ მოდელების დამუშავება არამედ ამ მოდელებისათვის საწყისი დამუშავება. ეს არის სწორედ ინფორმატიკა და ეს არ არის ფიზიკა აღნიშნავს ის, პროგრამა საკუთრივ არის, კლასიკური ინფორმაციის მართვის ამოცანა, სწორედ ამიტომაც ჰქვია ინფორმატიკა. ადამიანური რესურსების ნაწილში რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, გამომდინარე აქედან, რომ მაღალპროფესიონალი გუნდი არის პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისად, ადამიანური რესურსის ნაწილში თავდაჯერებულად გრძნობენ თავს. საბჭოს წევრ აკაკი ხელაძეს კითხვა ჰქონდა ექსპერტების მიმართ, და იგი ეხებოდა ადამიანური რესურსების ნაწილს. ამ საკითხში უფრო მეტი სიცხადის შემოსატანად განემარტათ რას გულისხმობდნენ სტანდარტის შეფასებაში, მაშინ როდესაც დასკვნაში 4.1 სტანდარტის ტექსტური შეფასება საუბროდა ადამიანური რესურსის მიღწევებზე, კონფერენციებში მონაწილეობაზე და დადებითად იყო შეფასებული მათი კვალიფიკაცია და აქტივობა. პირდაპირ იყო ჩანაწერი რომ პერსონალის რაოდენობა არის 6 რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, ერთადერთი უარყოფითი, რაც იყო მითითებული შეეხებოდა ინგლისურ ენის ცოდნასთან დაკავშირებულ საკითხს. შესაბამისად, ტექსტურ და ზეპირ განმარტებაში ამ საკითხთან მიმართებით განსხვავებულობა რით იყო გამოწვეული, ასევე აინტერესებდა საკითხი ბიუჯეტთან დაკავშირებით, რადგან პირველ და მეორე წელს ფაქტობრივად ორმაგდებოდა ქართველ სტუდენტთა რაოდენობა, ხოლო უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა იზრდებოდა 50 % ით, შესაბამისად საინტერესო იყო რას ეყრდნობოდა ეს პროგნოზი. ექსპერტმა, მიხეილ რუხაიამ 4.1 სტანდარტთან მიმართებაში აღნიშნა, რომ 20 მაგისტრანტის ხელმძღვანელობა 6 პროფესორის მხრიდან ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა დამატებით ფაკულტეტის წინაშე სხვა ვალდებულებების გათვალისწინებით სწავლების და ა.შ. ასევე, აღნიშნა, რომ ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებით შენიშვნები ჰქონდა მაშინდელ პროგრამის ხელმძღვანელს როდესაც განხორციელდა ვიზიტი და სწორედ ამიტომ მოხდა დასკვნაში ამ ნაწილის ასახვა. ინფორმატიკის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა თალიკო ჟვანიამ დააფიქსირა პოზიცია და აღნიშნა, რომ ფაკულტეტი ახორციელებდა ორ ინგლისურენოვან საბაკალავრო და ერთ სამაგისტრო პროგრამას. შესაბამისად, დაწესებულებაში ინგლისურ ენაზე სწავლის არა მხოლოდ ქართველო პროფესორი, არამედ უცხოელი პერსონალი. ამ მხრივ პროგრამის მდგრადობას არანაირი პრობლემა არ შეექმნება. სხდომის თავმჯდომარემ გოჩა თუთბერიძემ კითხვა დასვა ექსპერტების მიმართ, მას აინტერესებდა აუცილებლად საჭირო იყო თუ არა რომ პროგრამის განმახორციელებელი იყოს მეცნიერ ხელმძღვანელი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს არ არის აუცილებელი. დავით მახვილაძემ დაამატა რომ პროფესორების 70 % თავისი საქმიანობის ახორციელებენ მაღალი დონის ინგლისური ენის სპეციალისტები. რაც შეეხება ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლებს, აღნიშნა რომ მიმართულება არ არის მხოლოდ სამეცნიერო კოლაბორაციაზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული ან მხოლოდ მშრალ ანალიზზე დაყრდნობილი, არამედ პრაქტიკულ ნაწილის, ეს ინტერესი არის როგორც ადგილობრივად

ასევე უცხოელებთან კომუნიკაციის შედეგი. მან აღნიშნა, რომ პროგრამას ძალიან მაღალი ინტერნაციონალიზაციის ხარისხი აქვს, შესაბამისად პროგრამაში წარმოდგენილი არის რეალური ციფრები და პროგნოზები. საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა დასვა ორი კითხა, დაწესებულებასა და ექსპერტების მიმართ, კონკრეტულად მას აინტერესებდა, თუ კი დაწესებულება შეცვლიდა პროგრამის დასახელებას, შემდგომ რა იქნებოდა ექსპერტების შეფასება პროგრამის შედეგები და შინაარსი შესაბამისობაში იქნებოდა თუ არა წარმოდგენილი პროგრამის კვალიფიკაციასთან. რაც შეეხება მეორე კითხვას, იგი მიემართებოდა დაწესებულებას და მას აინტერესებდა, გამომდინარე აქედან, რომ პროგრამასთან შესაბამისი კვალიფიკაცია ვერ იქნა შერჩეული, რაც საფუძველი გახდა შემოთავაზებული კვალიფიკაციის არჩევისა, ხომ არ ჰქონია ადგილი დაწესებულების მხრიდან კვალიფიკაციის დამატების მცდელობას, რადგან კვალიფიკაციების ჩარჩო იძლევა ამის შესაძლებლობას. ექსპერტმა ავთანდილ თავხელიძემ საბჭოს წევრის კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სახელწოდების ცვლილებას მიესალმება, თუმცა იგი ძირითად პრობლემას ვერ აგვარებს და რჩება შეუსაბამობები კვალიფიკაციასთან. ასევე, აღნიშნა, რომ სახელწოდება მეორეხარისხოვანია, თუმცა არსებობს ჩარჩოები. ძირითადი პრობლემა როგორც მანდ მიუთითა, იყო კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შეუსაბამობა.

საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართ ექსპერტს, რომ თუ კი შევიდოდა კვალიფიკაციების ჩარჩოში ცვლილება და შესაბამისი/სწორი კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას მისცემდა ,,ჩარჩო'' იქნებოდა თუ არა პრობლემა აღმოფხვრილი, აღნიშნულზე ექსპერტმა უპასუხა რომ აღნიშნული ქმედებით პრობლემა მოგვარდებოდა. მოწვეულმა ექსპერტმა მარინა ხიზანიშვილმა აღნიშნა, რომ უფრო სწორი იქნება კვალიფიკაციების ჩარჩოს დაემატოს კვალიფიკაცია და სწორედ ამ კვალიფიკაციით გავიდეს ეს პროგრამა. ასევე მოწვეულმა ექსპერტმა მარინა ხაჩიძემ დაამატა რომ თუ კი ინფორმატიკა იქნება არჩეული მისანიჭებელ კვალიფიკაციად, სასურველია არაკლასიფიცირებულში მიეთითოს. აღნიშნა, რომ პროგრამა საინტერესოა თუმცა, არა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, რადგან დასაქმების ბაზარიც ძალიან მწირია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვალიფიკაციის მინიჭების ნაწილში შესაძლებელია რომ გადაიხედოს აღნიშნულ საკითხზე, რადგან სრულად თავადაც არ ეთანხმებიან მას. ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში'' ამ სახელწოდებით იყო წარმოდგენილი პროგრამა, თუმცა შემდგომ, ექსპერტთა რჩევების გათვალისწინებით შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ,,ციფრული დიზაინის კომპიუტერული ტექნოლოგიები'' შესაბამისად, მათ მიაჩნიათ რომ არსებული ცვლილებით მოიხსნა კვალიფიკაციის ნაწილის პრობლემა. ასევე აღნიშნა, რომ ეს პროგრამა მოიცავდა ინფორმატიკას, შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაცია უკვე შესაბამისობაში იყო. ასევე აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებლის არსებობის პირობებში დაწესებულება შეუძლია შინაარსობრივად ასწავლოს სამაგისტრო პროგრამაზე. ასევე აღნიშნა, რომ მაგისტრატურის ნაწილში, რომელსაც კვლევითი კომპონენტი აქვს გათვალისწინებული, შეუძლებელია ამ დარგში, უფრო ღრმა ცოდნის მიცემა ვიდრე ამის შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული პროგრამა, და ასევე აღნიშნა, რომ არსებული კვალიფიკაციების ჩარჩოს გათვალისწინებით კვალიფიკაცია სრულად თანხვედრაში მოდის პროგრამის მიზნებთან. მანანა ხაჩიძემ დააზუსტა, რომ მაგისტრატურის საფეხური არის უფრო ვიწრო და კონკრეტული ბაკალავრთან შედარებით. შესაბამისად, ექსპერტის ძირითადი მითითება მიემართებოდა იქითკენ, რომ სადაც ხდება ხსენებული მიმართულებით კვალიფიკაციის მინიჭება კონკრეტულ მიმართულებაზე აქცენტის გაკეთება არ არის მიზანშეწონილი. ალექსანდრე შარმაზანაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტი ვიწროდ უყურებს წარმოდგენილ საკითხს, წარმოდგენილ პროგრამაზე არ ხდება ვიწრო პაკეტის შესწავლა. პროგრამის მიზანი არ არის კონკრეტული პროგრამული პაკეტების შესწავლა, აღნიშნა მან. ასევე განმარტა, რომ პროგრამის მიზანი არის ის, რომ მოდელირებისთვის მომზადდეს საწყისი აღწერილობები. ეს არის გეომეტრიული მოდელები, შესაბამისად მათი პრაქტიკაში გამოყენება მნიშვნელოვანია, ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას მანქანათმშენებლობაში, ბიზნეს სფერო, და ა.შ. სწორედ ამ ბაზრისთვის იქნება

შეთავაზებული მომზადებული კადრები, ასევე აღნიშნა, რომ ეს არის ფართო სფერო და ცნება. ასევე, აღნიშნა რომ მოდელირება ისწავლება პაკეტის ბაზაზე და პროგრამის მიზანი არ არის პაკეტის შესწავლა. საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ კითხვა დაუსვა ინსტიტუციას, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთა რაოდენობასთან მიმართებით, თუ კი დასჭირდება გარედან მოწვევა სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის, თანხები არის თუ არა გათვალისწინებული აღნიშნული საკითხისთვის. ასევე დამაზუსტებელი კითხვა დასვა ექსპერტების მიმართ პროგრამის შრიფტთან მიმართებით, ექსპერტების მოსაზრებით რომელ კვალიფიკაცია არის რელევანტური აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის რესურსი აღემატება პროგრამის საჭიროებებს, გარედან პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის საჭიროება არ იყო, თუმცა აქვე დასძინა, რომ ,,ცერნის'' თანამშრომლების მზაობას იყო თანახელმძღვანელად ჩართულიყვნენ სამაგისტრო პროგრამებში, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, თუმცა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამის საჭიროება არ დადგებოდა დღის წესრიგში. რისკი არ არსებობს პროგრამის მდგრადობის ნაწილში. რაც შეეხება კვალიფიკაციას აღნიშნა, რომ 0613-ის ფარგლებში არის პროგრამა მოქცეული, მართალია ზოგადი კვალიფიკაცია არის ინფორმატიკა, თუმცა არ ცდება დარგს ასევე აღნიშნა მან. ლაშა მაზანაშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, ექსპერტებსა და დამსწრე წევრებს, დისკუსიისა და შესრულებული სამუშაოსათვის. დამოუკიდებელმა ექსპერტმა მანანა ხაჩიძემ ზოგადი განმარტება გააკეთა კვალიფიკაციის თაობაზე და მან აღნიშნა, თუ კი გადავხედავთ 0612-ის ზოგად განმარტებას, იგი შეისწავლის ინტეგრაციას საინჟინრო საქმეში, შესაბამისად აღნიშნა, მან რომ ინფორმატიკაზე უფრო მეტად ახლოს, არის ინფორმაციული ტექნოლოგიები პროგრამის კლასიფიკაციასთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:08

დასრულების დრო: 19:44

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, დამატებითი ექსპერტების დასკვნისა და ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომმეტწილად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება და განსაზღვრა დამატებით ორი რეკომენდაცია 1.1 და 1.4 კომპონენტთან მიმართებით, რის შედეგადაც 1.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რასაც საბოლოოდ არ გამოუწვევია მთლიანი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის - "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში"- პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2- ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას - "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" - მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზანი ფორმულირდეს იმგვარად, რომ ცოდნის შეძენასთან ერთად, გამოიკვეთოს ასევე ის უნარები/კომპეტენციები, რომლებიც გამოუმუშავდება პროგრამის კურსდამთავრებულს.
- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი "კვლევის მეთოდები", რომლის სწავლის შედეგებიც მნიშვნელოვანი წინაპირობაა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის წარმართვისათვის.
- რეკომენდებულია, უსდ-მ წარმოადგინოს ეროვნული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მახასიათებლების დოკუმენტთან პროგრამის შესაბამისობის დოკუმენტი.
- რეკომენდებულია, ჩანაცვლდეს პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ისეთით, რომელიც უკეთესად შეესაბამება პროგრამის შინაარსს.
- რეკომენდებულია, შეიცვალოს პირველი სწავლის შედეგი ისე, რომ იგი მიღწევადი იყოს პროგრამის შინაარსით.
- რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის რუკა შეიცვალოს ისე, რომ პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვა შესაძლებელი იყოს კვლევის კომპონენტით ან შეიცავდეს სხვა სასწავლო კურსებს, რომლებიც ავითარებენ სწავლის შედეგებს მაგისტრატურის დონეზე; ამით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის შედეგების სრული მიღწევა შესაბამისი კომპონენტებით, რომლებიც მიაღწევენ პროგრამის ყველა შედეგს.
- რეკომენდებულია, შეიცვალოს პროგრამის სახელი უფრო მეტად შესაფერისი დასახელებით.
- რეკომენდებულია, უსდ-მ ამოიღოს წინაპირობა კურსიდან „ანალიტიკური აზროვნება და არგუმენტირებული მსჯელობა“.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა, რათა უზრუნველყოფილ იყოს, რომ ის მოიცავს კურსის ყველა თემას.
- რეკომენდებულია, დაშვების წინაპირობებში მკაფიოდ იყოს მითითებული ის მოთხოვნა, რომ ბაკალავრის ხარისხი უნდა იყოს რომელიმე STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა) საგანში.
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს არსებული აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნა ან დაემატოს ინგლისურენოვანი აკადემიური პერსონალი.

- რეკომენდებულია, პროგრამის სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში ჩართული იყოს დამატებითი პერსონალი. პროგრამაში ჩართული ექვსი აკადემიური პერსონალი არ არის საკმარისი პირველ წელს დაგეგმილ 20 სტუდენტთან მუშაობისთვის.
- რეკომენდებულია, კურსის სილაბუსებში სავალდებულოდ მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყოს ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან ნაბეჭდი სახით.
- იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია და ამავდროულად წარმოადგენს სიახლეს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროსთვის, რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის ან/ და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლების მონაწილეობით.

რჩევები:

- სასურველია, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ჰქონდეს მხარდაჭერა და სისტემატურად ჩაუტარდეს ტრენინგები სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის უნარ- ჩვევების გასავითარებლად.
- სასურველია, უსდ-მ წარმოადგინოს სილაბუსები კვლევის კომპონენტებისთვის სამაგისტრო ნაშრომი 1 და სამაგისტრო ნაშრომი 2.
- შიდა გამოცდა სასურველია იყოს სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ინფორმატიკის, კომპიუტერული სისტემებისა და ქსელის სამაგისტრო პროგრამის ანალოგიური.
- სისტემატურად და საფუძვლიანად მიეწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია პლაგიატისა და დაწესებულებაში არსებული შეფასების გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.
- უკეთესი იქნება დამსაქმებლების კითხვარებში უფრო კონკრეტული კითხვების დასმა, რადგან ზოგადი კითხვები დაწესებულებისთვის სასურველ შედეგებს ვერ იძლევა.
- სასურველია, პროგრამის შეფასება განხორციელდეს მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ თანამედროვე დასაქმების ბაზრისთვის საჭირო კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების კვლევის კუთხით.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ